საერთო გაზეთი

№12 (745)
ოთხშაბათი
3 აპრილი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

აგენტოკრატები – სახელად „ვეტინგი“

ოპოზიციავ, 27 ოქტომბრისთვის მზადებას აზრი არ აქვს!

„მიშელიადას“ მეორე სერია და კასტრირებული ოპოზიცია

ვინც კორუფციისთვის გასამართლდა, მას დეპუტატის მანდატი აღარ უნდა მივცეთ!

სანამ რუსის ჯარი აქ დგას, ევროკავშირში არავინ მიგვიღებს

როგორ დავიცვათ პერსონალური მონაცემები

ჩვენ ყოველთვის ავიმაღლებთ ხმას უცხოური გავლენის აგენტების წინააღმდეგ

ჩვენ ყოველთვის ავიმაღლებთ ხმას ამ უცხოური გავლენის აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოური სტილის კამპანიებს აწარმოებენ სასამართლო სისტემის წინააღმდეგ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. რაც შეეხება კორუფციას, კორუფციის ერთ-ერთი მთავარი წყარო არის ბუნდოვანება, გაუმჭვირვალობა და სამწუხაროა, რომ ის ადამიანები, რომლებიც საბჭოური სტილის კამპანიას აწარმოებენ, არიან აბსოლუტურად გაუმჭვირვალე საკუთარ საქმიანობაში. არავინ იცის, მაგალითად ვისგან ფინანსდება ამ ორგანიზაციების საქმიანობა, რა მიზნებს ემსახურება მათი დაფინანსება და ა. შ. სწორედ გაუმჭვირვალობა არის კორუფციის მთავარი წყარო და სამწუხაროდ, ის სუბიექტები, რომლებიც აწარმოებენ საბჭოური სტილის კამპანიებს სასამართლოს წინააღმდეგ, გამოირჩევიან გაუმჭვირვალობით და სწორედ ეს არის კორუფციის საფუძველი“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება ქუჩებში სასამართლოს წინააღმდეგ მიმართულ წარწერებთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვას, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ესეც არის საბჭოური სტილის პროპაგანდა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

„წლების განმავლობაში ხდებოდა სასამართლო სისტემის, მოსამართლეების სტიგმატიზაცია. ტერმინიც მოიფიქრეს ამ მიზნით, ეს იყო კლანი და ა. შ. ეს არის ჩვეულებრივი საბჭოური სტილის პროპაგანდა, რასაც, სამწუხაროდ, უცხოური გავლენის აგენტები აწარმოებენ საქართველოში. საზოგადოება უნდა დაუპირისპირდეს ამ ყველაფერს და უნდა დაუპირისპირდეს სიმართლე. სიმართლე არის ის, რომ 2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემაში რადიკალურად შეიცვალა ვითარება, როდესაც სასამართლო იყო სწორედ ამ უცხოური გავლენების აგენტების ხელში, მაშინ ეს ინსტიტუტი გამოიყენებოდა როგორც ადამიანების ჩაგვრის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი. დღეს ეს უცხოური გავლენის აგენტები აწარმოებენ კამპანიას, იმ სასამართლოს წინააღმდეგ, რომელიც ფუნდამენტურად გარდაიქმნა 2012 წლის შემდეგ. ეს საბჭოური სტილის პროპაგანდა არის აბსოლუტურად მიუღებელი პირადად ჩემთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

ამ ყველაფერს ახალისებს უსაფუძვლო სანქცირება, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისგან, როგორიც არის აშშ

მიგვაჩნია და ხელის გულზე დევს ფაქტები, რომელთა მიხედვითაც ის, რომ საქართველოში რამდენიმე მოსამართლე ყოველგვარი საფუძვლის გარეშეა სანქცირებული - სავიზო სანქციები, არ აქვს მნიშვნელობა, ამ სანქციებს რა ფორმა ექნება - ეს ახალისებს სასამართლოს წინააღმდეგ იმ მდაბიო კამპანიას, რომელსაც ენჯეო სექტორის რიგი წარმომადგენლები და “ნაცმოძრაობა” და მისი სხვადასხვა მიმართულების განშტოებები მიმართავენ, - ამის შესახებ “ქართული ოცნების” აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მან გაიხსენა გვარამიას საქმის მოსამართლის, ლაშა ჩხიკვაძის და მისი ოჯახის მისამართით წარმოებული ბულინგის კამპანია და აღნიშნა, რომ ჩხიკვაძის მიმართ გამოთქმული კრიტიკის უსაფუძ-

ვლობა სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა. მდინარაძის თქმით, ხელისუფლება კატეგორიულია თავის მოთხოვნაში, მოეხსნათ სანქციები ქართველ მოსამართლეებს, ვინაიდან მსგავსი სახის უსაფუძვლო გადაწყვეტილებები ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს. “არათუ მტკიცებულება ვიხილეთ, არამედ საპირისპირო მტკიცებულების სახით მივიღეთ სტრასბურგის გადაწყვეტილება და ასევე იმ ცნობილ ფაქტთან ერთად, როდესაც ვიხილეთ ერთი ყოფილი და სამი მოქმედი მოსამართლის დასანქცირება, ამის შემდეგ პრაქტიკულად სანქცია დაედო ლაშა ჩხიკვაძეს, რომელსაც სავიზო შეზღუდვა დაუწესეს და მას, როგორც მოსამართლეს, არ ეძლევა საშუალება, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში. შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ, ამ მოსამართლეებს მოეხსნათ სანქციები. მაგალითად, ლაშა ჩხიკვაძის შემთხვევაში სტრასბურგმა დაადასტურა, რომ მის მიმართ აბსოლუტურად უსაფუძვლო კრიტიკა იყო და რეალურად, ეს იყო ბულინგი. ალბათ, დღეს ყველას, ვინც ამაში ირიბი მხარდაჭერაც კი რაღაც ფორმით დააფიქსირა, ბოდიში აქვს მოსახდელი ამ ადამიანის და მისი ოჯახის წევრების წინაშე. მან თავად განაცხადა, რომ მისი შვილი გარკვეულ სამედიცინო დახმარებასაც კი საჭიროებს ამ ბულინგის გამო. წარმოუდგენელია, თან მართალი იყო და თან შენ და შენი ოჯახის წევრებს ისე გაბულინგებდნენ, რომ გარკვეული სამედიცინო ჩარევებიც კი სჭირდებოდეს ამის გამოსწორებას. ამ ყველაფერს ახალისებს ყველაფერი უსაფუძვლო, მათ შორის, უსაფუძვლო სანქცირება, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისგან, როგორიც არის აშშ, რომელიც ჩვენთვის არის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენი მეგობარი. შესაბამისად, თუ რაიმე შეიძლება ანტიამერიკულ, ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებდეს, ეს არის უსაფუძვლო გადაწყვეტილებები, როგორიცაა მოსამართლეთა დასანქცირება. ამიტომ, ჩვენ კატეგორიულები ვართ ამ თხოვნაში თუ მოთხოვნაში, რომ მათ მოეხსნათ სანქციები და არ მისცეს ჩვენმა მეგობარმა რომელიმე მდაბიო და ბოროტ სუბიექტს ამ ფაქტით მანიპულირების უფლება, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

უეფას პრეზიდენტმა ირაკლი კობახიძე ევრო-2024-ზე დასასწრებად მიიწვია

უეფას პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე დასასწრებად გერმანიაში იწვევს.

ოფიციალურ წერილში, რომელიც ირაკლი კობახიძემ ალექსანდერ ჩეფერინისგან მიიღო, აღნიშნულია, რომ ჩემპიონატი 14 ივნისიდან 14 ივლისამდე 10 ქალაქში ჩატარდება.

„თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ მაქვს შესაძლებლობა, უეფა-ს სახელით მოგიწვიოთ ევრო-2024-ის ჩემპიონატზე დასასწრებად უეფა-ს ვიპ-პროგრამის ფარგლებში. ტურნირი, რომელიც გამოავლენს ევროპის მე-17 ჩემპიონ გუნდს მამაკაცთა შორის, 14 ივნისიდან 14 ივლისამდე 10 მასპინძელ ქალაქში გაიმართება. მას დაესწრებიან ფეხბურთის მოყვარულები მთელი ევროპიდან. უეფას ევროპის ტურნირი ყოველთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ჩემპიონატს - ეს არის მაღალი კლასის, გუნდური თამაშის და ფეხბურთის გამაერთიანებელი ძალის ზეიმი. თქვენი დასწრება საქართველოს მიერ გამართულ მატჩებზე იქნება ამ ფასეულობების მიმართ თქვენი ერთგულების და ჩვენი საერთო რწმენის დადასტურება, რომელიც ასახულია ტურნირის დევიზში: „ერთიანობა ფეხბურთში. ერთიანობა ევროპის გულში“. მოუთმენლად ველი გერმანიაში თქვენი მასპინძლობის შესაძლებლობას. ვიმედოვნებ, ერთად გავხდებით ამ ისტორიული მოვლენის მოწმენი“, - აღნიშნულია უეფა-ს პრეზიდენტის ოფიციალურ მოსაწვევში.

უმთავრესი პრიორიტეტი პაციენტის ინტერესების დაცვაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სამედიცინო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჰოსპიტალური და ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან მოსახლეობისათვის უწყვეტი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სერვისის მიწოდების აუცილებლობას.

აღინიშნა, რომ სახელმწიფოსთვის უმთავრესი პრიორიტეტია პაციენტის ინტერესების დაცვა, რის უზრუნველსაყოფადაც სამედიცინო სექტორისა და კლინიკების წარმომადგენლებთან აქტიურ თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო მთავრობის მიდგომებს სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით, ასევე საკითხებს, რომელთა გადაჭრაც სამედიცინო სექტორისთვის პრიორიტეტულია.

ჯანდაცვის სისტემაში არსებულ საკითხებზე ბიზნესის ხედვა საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ წარადგინა.

აღინიშნა, რომ მოქალაქეებისა და პაციენტების ინტერესების მაქსიმალური დაცვა, მათთვის ხარისხიანი და უწყვეტი სერვისის მიწოდება არის საერთო პრინციპი, რაზეც სახელმწიფო და კერძო სექტორი თანხმდებიან და ამ მიმართულებით თანამშრომლობა გაგრძელდება.

შეხვედრას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი დაესწრნენ.

აგენტოკრატები – სახელად „ვეტინგი“

„ჩვენი გენიალური კინოშედევრი „გიორგობისთვე“ ხომ გახსოვთ? ამა და იმ თვის ჩამოსხმულ ღვინოს არც თქვენ გაეკაროთო და ახლობლებიც გააფრთხილეთო. იგივე შემიძლია ვთქვა „მოსამართლეებად“ წოდებულ ამ ხუთეულზე (საკრალური რიცხვი) - თქვენც ეცადეთ, ისე წესიერად იცხოვროთ და თქვენი ახლობლებიც დაარწმუნოთ ამაში, რათა ამ ხუთეულის ხელში არ მოხდეს თქვენი ბედის გადაწყვეტა.

ეს არის ხუთეული, რომელიც თქვენს ბედში კი არა, საკუთარ კეთილსინდისიერებაში და პროფესიონალიზმშია დაეჭვებული იმდენად, რომ მოსამართლეებად საკუთარი თავის არჩევასაც ე. წ. „ვეტინგის“ სისტემით უცხოელებს ანდობენ. ესენი არიან კოლონიზატორების წინაშე ცალ ფეხზე მდგომი ლაქიები, რომლებიც აქამდეც და დღეიდან მით უმეტეს - თითოეულ განსახილველ საქმეზე იმ განაჩენს გამოიტანენ, რასაც მათ აგენტოკრატები უბრძანებენ.

თავისი აღიარებითი ჩვენებით, ქვეყნის ბედში, მის სუვერენიტეტში ეს ხუთეული ვერანაირ ფატალურ ცვლილებას ვერ შეიტანს, გარდა იმ აუცილებელი თვითლუსტრირებისა, როდესაც მათთვის უცხო სამშობლომ უნდა უწყოდეს საკუთარი ანტიგმირების შესახებ - რომელი სფეროს წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ისინი. ეკლესიური ტერმინით შევეგებოთ ამ მორიგ მარიონეტებს: ანაქსიოს!“ — დავით ქართველიშვილი.

რა არის ვეტინგი და როგორ იმუშავა იქ, სადაც ეს სისტემა საჭიროდ მიიჩნიეს და, ნებით თუ ზეწოლით, თანხმობასაც მიაღწიეს, ამის შესახებ უკვე მრავალჯერ ითქვა. ამდენად, აღარ განვაზოგადებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რასაც მოქალაქეობრივი გუმანი მარტივად მეუბნება – ესენი 1993 წელში ჩარჩნენ!

პირადად ჩემთვის წარმოუდგენელი შეურაცხყოფა იქნებოდა, მოსამართლე ვყოფილიყავი და ვიღაც გადამთიელს ეთქვა, ახლა მე უნდა შეგამოწმო ქართველო მოსამართლევ, კეთილსინდისიერი ხარ თუ არაო.

ელემენტარულია, მე ხელფასს ქართველი ხალხი მიხდის და მან უნდა განსაზღვროს ჩემი კეთილსინდისიერებაც და სხვა, ნებისმიერი მხარეც და არა ვიღაცამ, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ მე და იმ ვიღაცას (პირთა წრეს) ერთმანეთი გვჭირდება, ერთმანეთს ჩავებმებით.

ვინაიდან, რატომღაც, უცხოელები ჩემზე მაღლა მდგომებად მიიჩნევიან, მაშასადამე, ისინი მიმითითებენ, როგორ უნდა განვსაზღვრო სამართალი, სანაცვლოდ კი გამოხრულ ძვალზე უკეთეს რამეს მივიღებ — ვეტინგის ნდომასთან დაკავშირებით, სხვა აზრი არ მრჩება.

როდესაც დამოუკიდებლობა გაქვს მოპოვებული, რატომღა უნდა გინდოდეს ვიღაცის ყურმოჭრილი ყმობა?!

ასეთი ყურმოჭრილი ყმები პრეზიდენტებად რომ დაგვისვეს და დღემდე ასეთი გვიზის, ისიც კი აუტანელია და ახლა კიდევ ყურმოჭრილი მოსამართლეები გვინდა? ადამიანთა იმავე წრეს კი უნდა, რადგან მათთვის, ამ ტანდემის, ყურმოჭრილი პრეზიდენტისა და მოსამართლეების თანაარსებობის რამდენიმე თვეც საკმარისია, რადგან მიხეილ სააკაშვილი და რამდენიმე ბოგანო ჰყავთ დასახსნელი. მოშიაშვილის შემთხვევაა, მე იმდენი რამე ვიცი, ცოტა ხანში ბადრაგი შემოვა და დაიძახებს, მოშიაშვილი, ს ვეშჩამიო.

ზოგადად, ჯერ ისედაც რას ჰგავს ქართული სასამართლო სისტემა! იშვიათი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, მართლაც რომ არ ჰგავს სასამართლოს, პირადად ვიწვნიე საკუთარ თავზე და ამას ერთხმად ამტკიცებს ადვოკატთა კორპუსი, მაგრამ ეს ქვეყნის შიდა პრობლემაა და არა გარედან ვიღაცების დასალაგებელი.

ასე ხელჰყვეს შსს და ისიც რას დაამსგავსეს, დადასტურებულად დამნაშავე(ები)სთვის უბატონოდ ხმა ვერ გაუციათ, სამაგიეროდ, გენდერული პოლიცია წარმატებით ჩამოაყალიბეს — გენდერული ნიშნით, ყოველგვარი მტკიცებულებისა და მოწმეების გარეშე ხელყოფენ ადამიანის უფლებებს, მათ „მონაპოვარს“ კი უსიტყვოდ ამყარებს გენდერული სასამართლო. შერჩევითი სამართლის ქვეყანა გვაქვს და ეს სასწრაფოდ დასალაგებელია, თუმცა ჩვენ არ აგვირევია, გარედან აგვირიეს სხვებმა და მათი არეული ჩვენ უნდა დავალაგოთ.

ერთი, კარგად გადახედეთ, მხოლოდ მე ხომ არ ვხედავ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ისედაც სავალალო მდგომარეობაში ჩააგდეს გარედან ყურით მოთრეული ვითომ რეფორმებით და ახლა ახალი შტურმი დაიწყეს გარედან მხარდაჭერილმა ადგილობრივმა გოშიებმა? — მიხეილ სააკაშვილს რომ დაუძახებენ „ს ვეშჩამიო“, უფრო კარგად დაინახავთ; კიდევ რომ გადაწვავენ რუსთაველის პროსპექტს და პასუხს არავინ აგებს, უკეთ დაინახავთ;

ცოცხლად კიდევ რომ დაუპირებენ პოლიციელებს დაწვას და მხოლოდ ერთ ვინმე უბირს დააკავებენ მხოლოდ, დაინახავთ;

ევროკავშირის დროშის დაწვის გამო რომ ზოგს ექვს წელს მიუსჯიან და ზოგს ჯარიმას აკმარებენ, დაინახავთ და ა. შ. მეტი რაღა ჩამოვთვალო...

ამდენად, საქართველოს სასამართლოს დაპყრობის გეგმა ღიად კოდური სახელწოდებით „ვეტინგი“, მისმა მსურველებმა უკვე სახეზე აიკრეს და ბედნიერება ვუსურვოთ, ჩვენ კი, იქნებ, რამენაირად ჩვენით მოვახერხოთ ქვეყნის მთავარი ქვაკუთხედის მთავარი საყრდენებიდან შსს-ისა და სასამართლოს დალაგება.

შსს-ის უსამართლობით გაწამებულ ადამიანს იქნებ, პირუთვნელმა და სამართლიანმა სასამართლომ უშველოს და პირიქით, შსს-მ თავსმოხვეული გენდერული ნიშნით, მტკიცებულების გარეშე მაინც არ მოახვედროს გენდერულ სასამართლოში უდანაშაულო ადამიანი (ახლახან საპატიმროში ავადმყოფი ადამიანის გარდაცვალება ხომ ამ ორივე უწყებას ადევს მხრებზე ცოდვად! რამდენი ასეთია კიდევ, ხალხს გვკითხეთ, თუ ადვოკატი დაცვის გამო მხარედ ითვლება).

არანორმალური ვითარებაა ქვეყანაში და ამის თქმა და აღიარება იმავე სტრუქტურებიდან არავის უნდა!

ვეტინგის მსურველი ყველა შესამოწმებელი მოსამართლის ვინაობა არ მაინტერესებს, მათში რომ ეკატერინე გასიტაშვილი აღმოჩნდა, ჩემთვის ესეც საკმარისია. ძაღლის ნაკბენივით მახსოვს იმ ორი მოსამართლის ვინაობა, რომელთაც ჩემს ოჯახს საბოლოოდ გადაუწყვიტეს, რომ მათი უპასუხისმგებლობის გამო აღარ გვქონდეს მამაპაპისეული კარ-მიდამო.

რომ ვამბობ, მთლიანად სასამართლო სისტემაა ძირგამომპალი, მოსამართლეები კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მცონარები-მეთქი, ცილს კი არ ვწამებ, ნამდვილად ასეა. შეიქმნას რაღაც, კომისიის მსგავსი და შეამოწმონ მოსამართლეები, ნახავთ, რამდენი ვადაგადაცილებული საქმე უდევთ, რომელთა განხილვაზე აღარაფერს ვამბობ, წაკითხულიც კი არ აქვთ!

პირად მაგალითს გიამბობთ მოკლედ.

ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ და თბილისში ცხოვრობდა ჩემი მამამთილიც, რომელიც წარმოშობით მარტვილის რაიონიდან იყო. მისი გარდაცვალებიდან 4-5 წლის შემდეგ (ფოტოები მაქვს,

ბავშვი რამხელაა იმ დროს და როგორ დაცუნცულებს წინაპრების მიწაზე), როდესაც უკვე იმის საშუალება გვქონდა, რომ სოფლისთვის მიგვეხედა, აღმოჩნდა, რომ რომელიღაც თანასოფლელი სარგებლობდა ჩვენი საკუთრებით. მოვიძიეთ, მაგრამ სოფელში არ იყო არც თვითონ და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი. ჩვენმა მეზობლებმა გვითხრეს, ლოთი ქმარი ჰყავს და ამჟამად შვილიანად დედულეთშია გაქცეულიო.

გადავაწყვიტეთ ჩვენი საკუთრების დარეგისტრირება. აღმოჩნდა, რომ მარტვილის რაიონის არქივი დამწვარა, იუსტიციის სახლში კი მარტვილის რაიონთან დაკავშირებული არანაირი დოკუმენტი არ აღმოჩნდა. თანასოფლელებმა თქვეს, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ თვითონაც. მოკლედ, ვერაფრით ვამტკიცებდით ჩვენს კანონიერ უფლებას ჩვენს საკუთრებაზე და, შესაბამისად, ვერც ვირეგისტრირებდით, არაფერს ნიშნავდა არც მომიჯნავე მეზობლებისა და სოფლის გამგებლის ხელმოწერები, რომ ნამდვილად ჩვენი საკუთრება იყო. საუბარია 4181 კვ.მ მიწის ნაკვეთზე!

ამასობაში დრო გადიოდა. ზღვაზე დასვენების შემდეგ გავივლიდით ხოლმე, ადრეული შემოდგომის ნობათს მოვკრეფდით და მოვდიოდით. ერთ-ერთ ჩასვლაზე, როგორც იქნა, ვნახეთ ის თანასოფლელი ქალი, რომელმაც გვთხოვა, მადროვეთ, ჩემი შვილი თურქეთშია სამუშაოდ და მის გარეშე ვერაფერს ვიზამო. რა უნდა ქნა, ქალბატონო, აიღეთ თქვენი მოსავალი და კარგად ბრძანდებოდეთ. იმის გამო გეძებდით, რომ სამომავლოდ აღარ გაისარჯოთ სხვისი მიწის დამუშავებაზე ტყუილად-მეთქი. ის ლოთი ქმარი არ გვინახავს, მაგრამ ამ ქალის შვილმა მომდევნო წელს 20 000 აშშ დოლარი მოგვთხოვა ჩვენივე ნაკვეთის უმტკივნეულოდ დატოვებაში.

აქედან დაიწყო ჩემი და სასამართლოების შეხება.

არცერთ მოსამართლეს საქმე არ ჰქონდა წაკითხული!

მანამდე, დრო რომ გადიოდა და სასამართლო არ ინიშნებოდა, მრავალგზის მივმართეთ მოსამართლეს (სენაკი), მაგრამ ჩამიჩუმი არ იყო. ვადაც გადიოდა, ამიტომ თბილისში დავასმინეთ. იქამდე გასუსულმა და დამალულმა მოსამართლემ მყისიერად გამოიტანა განაჩენი და ჩვენი მამა-პაპის ნაშრომ-ნაჯაფი იმ ქალს არგუნა. გავასაჩივრეთ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, დარწმუნებული რომ ვიყავი ნორმალურად გადაწყვეტაში, აღმოჩნდა, რომ მოსამართლეს საქმე წაკითხული არ ჰქონდა (მოსამართლეების ვინაობებს არ ვწერ, რამე რომ არ გავაფუჭო) და პირველი ინსტანციის გამოტანილი დასკვნა გაიმეორა.

საქმის მთელი აბსურდი ის არის, რომ მარტვილის არქივი დამწვარია. არც მე და არც იმ ქალს არანაირი საბუთი არ გვაქვს იმის დასტურად, რომ აღნიშნული ფართობი ჩვენია. მე ორი მომიჯნავე მეზობელი მყავს მოწმეებად, რომ ჩემია, მაგრამ რატომღაც, თურმე სადღაც, სოფლის სხვა მხარეს მცხოვრები იმ ქალისაა!

მივედი უზენაეს სასამართლომდე. ისევ გამამტყუნებელი განაჩენი და ისევ იმის აღმოჩენა, რომ მოსამართლეს არათუ ნაფიქრი და განსჯილი, საქმე წაკითხულიც კი არ აქვს. ამ დროს ჩემმა მულმა საიდანღაც ამოაძვრინა ანდერძი, სადაც გარკვევით წერია, რომ აღნიშნული ქონება ჩემი მამამთლისაა. ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო კვლავ მიბრუნდა საქმე სასამართლოებში და ისევ უსაქმური მოსამართლეები, რომლებიც ჩივილის გამო მტრად მოკიდებული სენაკის მოსამართლის თავდაპირველ გადაწყვეტი-

5 გვ. →

ოპოზიციავ, 27 ოქტომბრისთვის მზადებას აზრი არ აქვს!

გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის საკრებულოს წევრი ლადო ბოჭაძე:

— ბატონო ლადო, საარჩევნო კოდექსში ინიცირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით გასულ კვირას დიდი ხმაური იყო. ცესკო-ს თავმჯდომარის და წევრების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა, რასაც ოპოზიცია ფარსს და ცესკო-ს საბოლოოდ მიტაცების მცდელობას უწოდებს. რა ხდება რეალურად?

— საარჩევნო ადმინისტრაციაში ცვლილებები ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესს ეხებოდა. გახსოვთ, რომ ე. წ. შარლ მიშელის დოკუმენტის მიხედვით, ცესკო-ს წარმომადგენლობა პარლამენტის წევრთა 2/3-ს უნდა აერჩია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ პროცესში ერთი მხრივ, ჩართული იყო პირადად პრეზიდენტი, მეორე მხრივ კი, ოპოზიცია, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რათა საარჩევნო ადმინისტრაციას ცესკო-ს ხელმძღვანელობა ხუთი წლით არ აერჩია, რაც, წესით, სტაბილურობას უზრუნველყოფდა. ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ წლების განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაცია დროებით არჩეულ თავმჯდომარესა და წევრებს ემართათ. მათ შორის, გიორგი კალანდარიშვილს, რომელსაც ვადა დღემდე უგრძელდება. იგი თავის დროზე ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურაზე თავად ზურაბიშვილმა წარადგინა.

გიორგი კალანდარიშვილმა ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რაზეც პრეტენზიები არც ოპოზიციის მხრიდან ყოფილა და არც საერთაშორისო დამკვირვებლებისგან. ოპოზიცია სამოცდაოთხივე მუნიციპალიტეტში შევიდა, მაგრამ მაინც ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე არ აერჩია. მიზეზი ის გახლდათ, რომ შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამომდინარე, ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილე იყო ოპოზიციის, კერძოდ, „ლელოს" წევრი გიორგი სიორიძე, რომელსაც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ცდილობდნენ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გიორგი კალანდარიშვილს შექმნოდა ისეთი სახის პრობლემა, რომ არჩევნებს ვეღარ გაძლოლოდა. ასეთ შემთხვევაში, ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობას ოპოზიციონერი წევრი შეასრულებდა, რომელსაც შეიძლება ოქმზე ხელი არ მოეწერა, არჩევნები კანონმდებლობის გათვალისწინებით ღიად, გამჭირვალედ არ ჩაეტარებინა, რასაც გარკვეული დესტაბილიზაცია, არეულობა, შესაძლოა, სისხლიანი რევოლუციაც კი მოჰყოლოდა. რადგან ასეთი რეალური საფრთხე არსებობდა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შევიდა, რასაც ზურაბიშვილმა ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა ის დაძლია.

25 მარტს პარლამენტის თავმჯდომარემ ხელი მოაწერა შესაბამის აქტს და ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. პრეზიდენტის ინსტიტუტის ნაცვლად, ეს საკითხი პარლამენტში განიხილება, თუმცა პრინციპი იგივეა — კომისიაში იქნებიან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ისინი შეარჩევენ კანდიდატურებს, წარუდგენენ პარლამენტს. შედეგად, 3/5-ით,

ანუ 90 ხმით შესაძლებელია კანდიდატის ხუთი წლით არჩევა. თუ ეს ვერ მოხერხდა, მერე პარლამენტს შეეძლება კენჭი უმრავლესობით უყაროს. სხვა გამოსავალი არ არსებობს. **ეს ჩიხური მდგომარეობა, ფაქტობრივად, სამ წელზე მეტია, გრძელდება.**

ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის კუთხით, ოპოზიციიდან პრობლემების შექმნის გარდა, მიმდინარეობს საარჩევნო ადმინისტრაციის, ახალი ტექნოლოგიების მიზანმიმართული დისკრედიტაცია. ოპოზიციის მიზანია, საზოგადოებაში არჩევნების მიმართ ნდობა შემცირდეს, რათა საკუთარი გეგმების განხორციელება უფრო მარტივად შეძლონ — მოსახლეობა დაარწმუნონ, თითქოს არჩევნები გაყალბდა, არ ასახავდა ხალხის განწყობებს და ამის ნიადაგზე რევოლუციური პროცესები დაიწყონ.

გიორგი კალანდარიშვილს ერჩიან, რაც მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის კამპანიაა. საზოგადოებას ვეღარ მოატყუებენ. „ნაცმოძრაობა" არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება. მათ არჩევნებში გამარჯვების იმედი არც აქვთ. ასე იყო 2016, 2020 წლებში და ასე იქნება 2024 წელსაც. საკუთარი მარცხი სჯობს იმ ცხრაწლიან რეჟიმს დააბრალონ, რაც ქვეყანაში დაამყარეს და არა არჩევნების გაყალბებას.

როგორც იცით, 2024 წლის არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდება. ვერიფიკაციის სისტემა აბსოლუტურად გამორიცხავს „კარუსელს" ან გაყალბების სხვა მექანიზმის გამოყენებას. სკანერის აპარატი კი კენჭისყრის დასრულებიდან საკმაოდ მოკლე დროში, საზოგადოებას არჩევნების წინასწარ შედეგებს გააცნობს. საბოლოო ოფიციალურ შედეგებს ბიულეტენების ხელით დათვლის შედეგად გავიგებთ. ე. წ. ეგზიტპოლებთან და გაყალბებულ პარალელურ დათვლასთან დაკავშირებული მანიპულაციები, რაც 2020 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა" განახორციელა, ამ შემთხვევაში, გამორიცხულია. ანუ, გარკვეული მტკიცებულებების შეგროვებას, თითქოს, საზოგადოების განწყობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ შედეგებს არ ემთხვევა, აზრი აღარ ექნება, რადგან კენჭისყრის დასრულებიდან 20-30 წუთში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, წინასწარი შედეგები ცნობილი გახდება. აქედან გამომდინარე, 2024 წლის არჩევნები სწორედ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი და გამჭირვალე იქნება. ამიტომ, ოპოზიციის გეგმა, საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს, ცესკო-ს მონაცემები რეალურ შედეგებს არ ასახავს, წარუმატებელი, ფუჭი იქნება. ამ კამპანიაში ოპოზიციასთან ერთად ჩართული არიან ზურაბიშვილი, სამოქალაქო სექტორის, მედიის ნაწილი. ასევე, გარე ძალები, რიგი ევროპარლამენტარები. თუმცა 26 ოქტომბერს არჩევანს თავად ქართველი ხალხი გააკეთებს.

ელექტრონულ არჩევნებზე იმის თქმა, რომ გაყალბების მექანიზმა, ეს გახლავთ ქარიშხალი ჭიქაში. პირიქით, აღნიშნული ტექნოლოგიები უფრო მეტად უზრუნველყოფს არჩევნების გამჭირვალობას და სწორედ ამაზე წუხს ოპოზიცია — თუ ადრე შეეძლოთ ემტკიცებინათ: „კარუსელი" დატრიალდაო, ახლა მსგავსს ვერაფერს იტყვიან. არანაირი საბაბი აღარ არსებობს, რომ არჩევნების შედეგებს არ დაეთანხმონ. აი, რა აწუხებთ.

— ცესკო-ს ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსს დავუბრუნდეთ. ოპოზიცია ცდილობს, საზოგადოება დააჯეროს, რომ ეს ცვლილებები ცხრა დათქმისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების დარღვევით არის დამტკიცებული.

— პირიქით, ეს სწორედ ამ რეკომენდაციების შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯია, რადგან საარჩევნო ადმინისტრაციას პარლამენტის თანხმობით, კომისიის, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით არჩეული თავმჯდომარე და წევრები ეყოლება. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ამომრჩევლის 90%-ზე მეტი, ხმის მიცემას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, რაც აქამდე არსებობდა, ევროკავშირის არცერთ წევრ ქვეყანაში არ მოქმედებს. მსოფლიოში არ მოიძებნება ანალოგი, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იყოს. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესში ცვლილება სწორედ ევროპულ კანონმდებლობას შეესაბამება. ამიტომ, არც ამ რეკომენდაციას და არც სხვას, არაფერი ემუქრება. ხელისუფლება რეკომენდაციების შესასრულებლად ყველაფერს აკეთებს, რათა არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, მის ლეგიტიმურობაში ეჭვის შეტანის საბაბი არავის მისცენ. 2030 წლისთვის ევროკავშირის წევრობისთვის მზად ვიქნებით. ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ ამ ხელისუფლების პერიოდში მოხდა ნატო-სთან და ევროკავშირთან ჩვენი დაახლოება, ასევე, გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება, უვიზო რეჟიმი, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი.

— ევროკავშირის ელჩმა საარჩევნო რეფორმას ფასადური უწოდა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ეუთო-ოდირის რეკომენდაციები არ გაითვალისწინაო.

— ჩვენს პარტნიორებს სურთ, პოლარიზაცია შემცირდეს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები პოლიტიკურმა სპექტრმა ერთად მიიღოს. ანუ, პარლამენტმა სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმება შეძლოს. თუმცა, სამწუხაროდ, ოპოზიცია თანამშრომლობისთვის განწყობილი არ არის. პირიქით, ყველაფერს აკეთებენ, რათა პროცესები ჩიხში შევიდეს. ესაა მათი ინტერესი და არა სამართლიანი არჩევნების ჩატარება, დემოკრატიის გაძლიერება. რა თქმა უნდა, ჩვენი პარტნიორები თანამშრომლობისკენ ოპოზიციასაც მოუწოდებენ. მაგალითად, ეს უკანასკნელი ცხრა დათქმის შესრულებაზე სამუშაო პროცესში ჩართული არ არის. გახსოვთ, რა დღეში იყვნენ, ევროპაში დარბოდნენ და ევროპარლამენტარებს არწმუნებდნენ, ქვეყნისთვის სტატუსი არ მოეცათ. ის რაც ევროპასთან დაგვაახლოვებს, მათთვის მიუღებელია. ქვეყნის წარმატება, წინსვლა, კეთილდღეობა, ყველაფერი „ქართულ ოცნებას" უკავშირდება. ამიტომ, წესით, ამომრჩეველს სწორი არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს.

— წელს არჩევნები სრულად პროპორციული წესით ტარდება. რას უკავშირდება პარტიულ სიაში დელეგატების შემოყვანა?

— 2017 წელს ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით კომისია შეიქმნა და კონსტიტუციის ახალი რედაქცია მივიღეთ. მასში ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ ჩაიწერა, რომ 2024 წლის არჩევნები სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, 5%-იანი ბარიერით ჩატარდებოდა. 2020 წელს

კი 1%-იანი საარჩევნო ბარიერი იყო, რათა პარლამენტში შესულ პარტიებს საპარლამენტო მანდატის გამოყენება შეძლებოდათ და მეტად გაძლიერებულიყვნენ, ასევე, ჰქონოდათ დაფინანსება, საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის უფასო პოლიტიკური დრო. თუმცა, ოპოზიცია, რომელიც პარლამენტში შესვლას არ აპირებდა, „ნაცმოძრაობის“ დანამატად იქცა. რაც შეეხება დელეგატებს, ბუნებრივია, ცვლილება შეეხება არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ყველა პოლიტიკურ პარტიას. ეს, წესით, თანაბრად მისაღები უნდა იყოს, რადგან ყველას ინტერესია, საზოგადოებას არ დარჩეს განცდა, რომ მათი მუნიციპალიტეტი, თუ რეგიონი, პარლამენტში წარმომადგენლის გარეშე დარჩა. მაჟორიტარი ხარ, თუ არა, პროპროციულ სიაში ხარ, თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ საქართველოს ყველა მოქალაქის წინაშე ანგარიშვალდებულნი ვართ. აღნიშნული რეგულაცია კიდევ უფრო გაზრდის ანგარიშვალდებულებას კონკრეტულ პოლიტიკოსსა და რეგიონს შორის. ეს წინ გადადგმული

ნაბიჯია და არავითარი კავშირი რაიმე სხვა ტიპის ზრახვებთან არ აქვს.

— ცვლილებები ეხება თვითმმართველობის არჩევნებსაც, სადაც მეორე ტური აღარ ჩატარდება. რატომ უქმდება 40%-იანი ბარიერი და როგორ გამოვლინდება გამარჯვებული?

— ბარიერის შემოღება 2020 წლის არჩევნებს უკავშირდებოდა. საუბრობდნენ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა ის მხარდაჭერა, რაც 2020 წლის არჩევნებში მივიღეთ. ეს უფრო 53%-იანი ბარიერის თემაა. თუ „ქართული ოცნება“ ამ ბარიერს ვერ გადალახავდა, მაშინ რიგგარეშე არჩევნები უნდა დანიშნულიყო. მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ გვეუბნებოდნენ, ამხელა მხარდაჭერა არ გაქვთო. ამიტომ შემოვიღეთ ბარიერი და, რა თქმა უნდა, თუ რომელიმე პარტია ამ ბარიერს ვერ გადალახავდა, მეორე ტური დაინიშნებოდა. არჩევნებმა აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობაში საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს. მათ შორის, ეს გამოჩნდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზეც. ამიტომ, მეორე ტურისთვის დამატებითი ფინანსების დახარჯვა საჭირო აღარ არის, რადგან, თუ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა არ გაქვს, საკრებულოებში ისედაც ვერ მოხვდები. ეს განხილვის თემაა, რაც პარლამენტში პირველი მოსმენით გაიმართება სასესიო კვირაში. ბუნებრივია, მოვისმენთ ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორის არგუმენტებს. მიღებული გადაწყვეტილება ამომრჩევლებსა და არჩეულებს შორის კომუნიკაციაზე იქნება ორიენტირებული. 2025 წლის არჩევნებისთვის სათანადოდ მოვემზადებით. ვეცდებით, ყველა პირობა, რაც 2021 წელს მივეცით ამომრჩეველს, მაქსიმალურად შევასრულოთ და რეგიონების განვითარებას ხელი მეტად შევუწყოთ.

— ზურაბიშვილმა საარჩევნო თემაზე შეხვედრა გამართა, სადაც დიასპორისთვის ხმის მიცემის გაადვილების საშუალებებზე ისაუბრა.

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ემიგრანტებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდეთ. ამისთვის ყველა პირობა შექმნილია, კანონმდებლობა სრულად არის მოწესრიგებული. თუმცა, ცოტა უცნაურია, საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრეზიდენტის საუბარი იმაზე, რომ დამატებითი საკონსულოები უნდა გაიხსნას — თითქოს ეს მარტივი პროცედურაა და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებს არ უკავშირდება. ამ საკითხს ვენის კონვენცია არეგულირებს. ყველას, ვინც საკონსულო აღრიცხვას გაივლის, არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია. ეს არ უკავშირდება ქვეყანაში ლეგალურად თუ არალეგალურად ყოფნას, მთავარია, აღრიცხვაზე ახვიდე. რაც შეეხება უცხოეთიდან ელექტრონულად არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ამერიკის არჩევნების შემდგომ მთელ მსოფლიოში ცდილობენ, ელექტრონული ტექნოლოგიები ნაკლებად გამოიყენონ რადგან ეს უსაფრთხო არ არის. ჩვენს შემთხვევაში, როცა ელექტრონულ ტექნოლოგიებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ვერიფიკაციის აპარატი და არც სკანერი ინტერნეტთან დაკავშირებული არ არის. ამ თვალსაზრისით, 2024 წლის არჩევნები უსაფრთხო იქნება. თუმცა, ელექტრონულად ხმის მიცემა უფრო მეტი პრობლემაა, ვინაიდან დიდია ჰაკერულად ჩარევის საფრთხეები. ამასთან, ჩვენ გვყავს მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ. მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გვაქვს, ამიტომ ქვეყნის გარეთ ამ ყველაფრის ორგანიზება ცოტა რთული იქნება. საკმაოდ გაზრდილია ჩვენი მოქალაქეების რიცხვი, რომელთაც საკონსულო აღრიცხვა გაიარეს და წინა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ასეთი ემიგრანტების რიცხვი თითქმის გაორმაგებულია. მათ ახლაც მოვუწოდებთ, იაქტიურონ და არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ეს მნიშვნელოვანია მათთვისაც და ჩვენთვისაც. შენი ქვეყნის პროცესებში ჩართულობა საარჩევნო უფლებაა. ნებისმიერი ჩვენი მოქალაქის არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანი და პრინციპულია.

— 27 ოქტომბერს ზურაბიშვილი არჩევნებს გაყალბებულად თუ გამოაცხადებს, ამ ყველაფერს რა მოჰყვება?

— ეს სცენარი არსებობს. ასე იყო წინა წლებშიც და 2024 წელსაც ამ გეგმას მიჰყვებიან, რაშიც ჩართულია პრეზიდენტიც, ენჯეოებიც, ოპოზიციაც, მედიის ნაწილიც. თუმცა, მთავარია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ქართველი ხალხი და რამდენად დაიჯერებს, თითქოს არჩევნები გაყალბდა ან ვინმემ მათ საარჩევნო უფლება წაართვა. ზურაბიშვილის შეფასებას არც სამართლებრივი, არც სხვა სახის შედეგი არ და ვერ მოჰყვება. მნიშვნელოვანია, რას იტყვის ეუთო-ოდირი, რომელიც ქვეყანაში ჩამოვა და არჩევნებს დააკვირდება. ასევე, „აირაის“ და „ენდიაის“ გრძელვადიანი დამკვირვებლები უკვე შვიდი თვით ადრე, პროცესებს ადგილზე აკვირდებიან. მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი დამკვირვებლების შეფასებებიც, მაგრამ მთავარია, რა განცდა ექნება საზოგადოებას. არ მგონია, ზურაბიშვილის მოწოდებას, არჩევნები გაყალბდა და ქუჩაში გამოდითო, შედეგი მოჰყვეს. ოპოზიციას ვურჩევ, 26 ოქტომბრისთვის მოემზადოს, რადგან 27 ოქტომბრისთვის მზადებას არანაირი აზრი არ აქვს. ამას შედეგი არ მოჰყვება, რადგან ქართული სახელმწიფო, ხალხი არეულობას, დესტაბილიზაციას, სახელმწიფო გადატრიალებას არ დაუშვებს. ჩვენ მშვიდობა და სტაბილურობა გვჭირდება.

— ბატონო ლადო, არჩევნებისთვის სააკაშვილიც ემზადება. მან ნაცების „ბორდს“ უნდა უხელმძღვანელოს.

— სააკაშვილს შევახსენებ, რომ უკრაინის მოქალაქეა და საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის უფლება არ აქვს. ამას მანამდეც აკეთებდა, როცა უკრაინაში იყო — იქიდან აქციებზე ერთვებოდა და კონსტიტუციას არღვევდა. ახლაც, როცა ქვეყანაში შემოიპარა და სასჯელს ლუქსში იხდის, იგივეს აგრძელებს. სააკაშვილის ჩართულობის არავის ეშინია. მისი მხარდაჭერა არაერთ არჩევნებზე ვნახეთ და ვიცით, რითაც სრულდება. მან კარგად იცის, რა რეიტინგი აქვს მის პარტიას განსაკუთრებით მას მერე, რაც ხაბეიშვილი გახდა თავმჯდომარე და რომელსაც კეზერაშვილი აფინანსებს. ასევე, რა პერსპექტივა აქვს მელია-გვარამიას გაერთიანებას, იგივე გირჩი-ზურაბს, ხოშტარიას, „ლელოს“, გახარიას, რომელიც ნაცებთან აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალურ დონეზე და ა. შ. მიშა უკრაინის მოქალაქეა და მოვუწოდებ: საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა არ დაარღვიოს!

თამარ შველიძე

აგენტოკრატები სახელად „ვეტინგი“

3 გვ.

ლებას ეყრდნობიან კოლეგიალურად და თავს არ იწუხებენ, რომ თვითონ გაერკვიონ საქმეში.

ჯერ ხომ რამდენი დრო გავიდა 2016 წლიდან, ამას კიდევ ის დაემატა, რომ უზენაეს სასამართლოში ორ უსაქმურს — **ეკატერინე გასიტაშვილსა** და **ნინო ბაქაქურს გადავეყარე**.

ეკატერინე გასიტაშვილი ვინც აღმოჩნდა, თვითონვე განაცხადა, ვეტინგ-მოსამართლე, რომელიც დაეჭვებულია საკუთარ კეთილსინდისიერებაში, მაგრამ რით ჩამორჩება მას ნინო ბაქაქური, რომელზეც გასულ წელს ხმაური ატყდა?

„მოსამართლე ნინო ბაქაქური წლებია, დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს არ წერს და აბუჩად იგდებს მხარეს და მის წარმომადგენელს. 2017 წლიდან 2022 წლის ივნისამდე, მოსამართლე ნინო ბაქაქურის მიერ განხილულ საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებისთვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა დარღვეულია 626 საკასაციო საჩივარზე, 135 კერძო საჩივარსა და 39 შუამდგომლობაზე“, — ამბობდა ბატონი ზურაბ ქადაგიძე საკუთარ განცხადებაში. საუბარი იყო ნინო ბაქაქურის მხრიდან უპრეცედენტო გულგრილობასა თუ აგდებულ დამოკიდებულებაზე.

2017 წლის იანვრიდან 2022 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, კანონით განსაზღვრული 6 თვის ვადის პირობებში, 2 წლის ვადის დარღვევით განხილული აქვს 200 საქმე; 3 წლის ვადის დარღვევით — 20 საქმე; ერთ წელზე მეტი ვადის დარღვევით — 308 საქმე. ჯამში, ვადის დარღვევით განიხილა 560 საქმე, სადაც 45%-ზე მეტ საქმეზე საქმის განხილვის ვადის დარღვევამ შეადგინა 2 წელი ან მეტი.

ისღა დამრჩა, ამ მაწაკების გამო საქართველოს ვუჩივლო სტრასბურგში...

რატომ?! რატომ?!

P.S. ამერიკის საელჩოს იუსტიციისა და მართლმსაჯულების მიმართულების კურატორმა ნატა წნორიაშვილმა, დაბადების დღის აღნიშვნის მოტივით, იტალიაში წაიყვანა სამი მოსამართლე: ეკა არეშიძე, მადონა მაისურაძე, თამარ ხაჟომია. მოწოდებული ინფორმაციით, ისინი ხუმრობდნენ, რომ თან ჰყავდათ „მოსამართლეალიბი“. როგორც ჩანს, „ალიბი“ მათთან ერთად მყოფი მოსამართლე თამარ ჩიხლაძეა, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რატომ არის ეს მოსამართლე „ალიბი“.

მაია ჭელიძე

სანამ რუსის ჯარი აქ დგას, ევროკავშირში არავინ მიგვიღებს



გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, ხელისუფლების ინიციატივას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რაც ფსევდოლიბერალური პროპაგანდის შეზღუდვას და ოჯახური ფასეულობების დაცვას ითვალისწინებს, საერთაშორისო ორგანიზაციები ჰომოფობიურს უწოდებენ. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამ თემაზე?

— ხელისუფლების ინიციატივას დადებითად ვაფასებ. მინდა გითხრათ, რომ კონსტიტუციაში ამ ცვლილების შეტანა დროული, მეტიც, დაგვიანებულიც კი არის. ვითარება საკმაოდ რთულია. გავიხსენოთ, რეციდივისტი, ნარკოდილერი ჯონ ფლოიდი, რომელიც, როცა ყალბ დოლარებს ასაღებდა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, გარდაიცვალა.

პოლიციელს არ ვამართლებ, მაგრამ გარდაცვალების მერე იგი ეროვნული გმირი გახდა და ამერიკაში ბაჯაღლო ოქროს სასახლეში დაკრძალეს. მარტინ ლუთერ კინგი, ნამდვილი გმირი, რომელიც ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდა, ალბათ, საფლავში ტრიალებდა. ვერავინ გაბედა, ეთქვა, კრიმინალს, ნაციხარს ასეთი პატივით რატომ ეპყრობითო. მან ორსულ ქალს მუცელზე პისტოლეტი მიაბჯინა, ეს ფაქტია. დასავლეთში ასეთი ტენდენციაა — ყველა ჰომოსექსუალი ზეადამიანი, ყველაზე საუკეთესოა. ეს არის იდეალი. გადავხედოთ, რა ხდება ევროკავშირის რიგ ქვეყნებში: საბავშვო ბაღებში ოთხი-ხუთი წლის ბავშვებს აღმზრდელები, ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების მულიაჟებით სქესობრივი კავშირის იმიტაციას უჩვენებენ. პედაგოგებს ამის ვალდებულება აქვთ, რადგან ეს პროგრამა ბაღებში განათლების სამინისტრომ შეიტანა. შემდგომ, ბავშვებს ეუბნებიან, დაფიქრდით, ვინ გირჩევნიათ იყოთ — ბიჭი თუ გოგოო. ბიჭს ეუბნებიან, იქნებ გირჩევნია, გოგო იყოო. სკოლებში ისწავლება ზღაპრები, სადაც პატარა ფისოს ან მელიას ჰყავს ნომერ პირველი და ნომერ მეორე მშობლები, ორივე მდედრობითი ან მამრობითი სქესის. ამას ბავშვებს თავიდანვე აჩვევენ.

რაც ამას წინათ ვნახე, მართლა შემზარა: საბავშვო ბაღებში მოწყობილ სასრიალოებს პენისის ფორმა აქვს და ბავშვები იქიდან ხტებიან, როგორც სპერმატოზოიდები. ეს ვინმეს აზირება არ გეგონოთ, სავალდებულოა. გერმანიაში და სხვაგან, სკოლებში არსებობს სპეციალური დღეები, რა დროსაც ბიჭებმა კაბები უნდა ჩაიცვან, პომადა წაისვან, გოგოები კი ბიჭურად გამოეწყონ, რათა შეიგრძნონ, როგორია სხვა სქესის ტყავში ყოფნა.

წლების წინათ სოფო შევარდნაძემ ინტერვიუ აიღო ტატიანა ჩერნიგოვსკაიასგან, რომელიც არაერთი უცხოური, მათ შორის, ნორვეგიის აკადემიის წევრია. სოფომ კითხვა დაუსვა ნორვეგიაზე, რომელიც ჰომოფილიის პროპაგანდაში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. ჩერნიგოვსკაიამ ასე უპასუხა, ნორვეგია შესანიშნავი ქვეყანაა, ვამაყობ, რომ მისი აკადემიის წევრი ვარ, მაგრამ იმ ადამიანებს, ვინც ბავშვების შეუვალ უფლებებს ფეხქვეშ თელავენ, ჩემი ხელით დავხვრეტდიო.

პირველად სკოლებში სქესის გაკვეთილები შვედეთში შემოიტანეს. გამოკითხვებით დადგინდა, რომ სკოლებში პედაგოგების ნახევარზე მეტი, ჰომოსექსუალები არიან. ჩემი ჰოლანდიელი ნაცნობი, ცნობილი დიპლომატი გაოგნებული მიყვებოდა მისი ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესახებ, ჰომოსექსუალს შეუძლია, თანხმობის შემთხვევაში, კავშირი დაამყაროს არასრულწლოვანთან და ეს ასაკი 12 წლამდე დაიყვანეს. თუ არ ვცდები, მოგვიანებით, ასაკი 14 წლამდე გაიზარდა.

ერთ-ერთი ფრანგული ფილმი მახსენდება, სადაც უვარგის ადამიანს ოფისიდან აგდებენ და თავს „ჰომოსექსუალობით" გადაირჩენს. ეს პირი ხელმძღვანელობას ეკითხება, აა, გაიგეთ, რომ სხვა ორიენტაციის ვარ და იმიტომ მიშვებთ სამსახურიდანო. და მის გაგდებას ვეღარ ბედავენ. კი ბატონო, კატეგორიული მომხრე ვარ, რომ სექსუალურად სხვა ორიენტაციის ადამიანების უფლებები დაცული იყოს, ამის გამო მათ არავინ ჩაგრავდეს არც ფიზიკურად, არც მორალურად, მაგრამ პროპაგანდა უნდა აიკრძალოს.

საქართველოში უძველესი დროიდან ამ ორიენტაციის ადამიანების მიმართ ტოლერანტულნი ვიყავით. კომუნისტურ წლებში, კანონმდებლობის თანახმად, მამათმავლობა მძიმე დანაშაულად მიიჩნეოდა და შესაბამისადაც ისჯებოდა. თუმცა ჩვენს ქვეყანაში ეს კანონი არასდროს ამოქმედებულა.

ბრიტანეთში მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მათემატიკოსი ალან ტიურინგი, რომელზეც ჩერჩილმა და ეიზენჰაუერმა თქვეს, რომ ამ ერთმა კაცმა ბევრად მეტი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, ვიდრე რამდენიმე დივიზიამ ერთად აღებულმა, ბრიტანელებმა კანონმდებლობის შესაბამისად გაასამართლეს — მას ციხე მიუსაჯეს. დამტკიცდა, რომ ადამიანს ორიენტაციის შეცვლაში ციხე არ შველის.

მერე ქანქარა გადაიხარა და რა გაირკვა? — თურმე, არატრადიციული ორიენტაცია თუ არ გაქვს, ვერც პრივილეგიები გექნება. კანადაში ერთ-ერთ კონკურსში ტრადიციული ორიენტაციის პირი პირველ ადგილზე გავიდა, თუმცა გამარჯვება მეორე ადგილზე გასულს ერგო, რომელსაც უპირატესობა მისი განსხვავებული ორიენტაციის გამო მიანიჭეს. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს, რასთან გვაქვს საქმე. ამ ფონზე ხელისუფლების ინიციატივა მისასალმებელია. საზოგადოებამ არ იცის, რა ხდება დასავლეთში და ამიტომ არის აქ ასეთი ვითარება. აჩვენონ, ქართულმა ტელევიზიებმა, რა ხდება დასავლეთში.

საქართველოში ყველაფერი 2013 წელს დაიწყო, როცა 51-ე სკოლასთან 17 მაისს ორი ჰოლანდიელი, შესახედავად მამაკაცები სკოლიდან გამოსული ბავშვების (რომლებიც მშობელ მამებსაც გამოჰყავდათ) თვალწინ ერთმანეთს ტუჩებში კოცნიდნენ, პლაკატებზე კი ეწერა — „ესეც სიყვარულია!" ნიშანდობლივია, რომ ამ აქციაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები: ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის და ა. შ., რომლებიც მაშინვე ადგილზე გაჩნდნენ. ამ ფაქტს შემთხვევით ჩემი ახლობელი შეესწრო, რომელმაც მკითხა, პეტრე, ამ ელჩებს ხომ კარგად იცნობ (მაშინ შესაბამის თანამდებობას ვიკავებდი), რომ დაგჭირდეს ყველას ერთად რამდენ ხანში შეკრებო. ვუპასუხე, ვერ შევკრებ-მეთქი. არადა, ამ აქციაზე ათ წუთში გაჩნდნენ.

ამის მერე იყო ცემა-ტყეპა „ტაბურეტკებით". გავიხსენოთ ამავე წელს, მიშას პრეზიდენტობის დროს, მისი შეხვედრა კლინტონთან. კლინტონი რვა წელი პრეზიდენტი იყო და არცერთხელ არ მისულა სამხედრო ვეტერანების პარადზე, სამაგიეროდ, არცერთი ლგბტ პარადი არ გამოუტოვებია. რატომ? იმიტომ, რომ იცოდა, არსებული ტრენდის გამო ეს ვეტერანები მას ხმას არ მისცემდნენ, აი, ჰომოსექსუალები კი აუცილებლად აირჩევდნენ.



აქ რა მიდგომაა? ევროპა გვეუბნება: აა, პროდასავლელი ხარ და პრაიდს არ ატარებ?! ე. ი. არ ხარ პროდასავლელი და ევროკავშირშიც ვერ გაწევრიანდებიო. წლების წინ, ევროკავშირში კომისრებს რომ ამტკიცებდნენ, ერთ-ერთი იტალიელი კანდიდატი, ევროპაში ცნობილი პიროვნება ბუტილიონე, სამოქალაქო თავისუფლებების საკითხების დარგში ევროკომისრის პოსტზე იყო წარდგენილი. მას ჰკითხეს, თქვენ ისევ მიგაჩნიათ, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირიაო. მან უპასუხა: დიახ, ეს არის ჩემი მრწამსი, კრედოო. შედეგად, იგი ევროკომისრად არ დაამტკიცეს.

ერთი რამ მაინტერესებს, რომ გვეუბნებიან, 9 დათქმა შესარულეთ და ევროკავშირში მიგიღებთო, თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული ტანკები რომ დგას, მაინც მიგვიღებენ?! ამაზე ჩუმად არიან. ეს თამაშია. მსოფლიო რეკორდიც რომ დაამყარო მათი სტანდარტების შესრულებაში, სანამ რუსის ჯარი აქ დგას, ევროკავშირში არავინ მიგვიღებს. ჩვენს ხელისუფლებას რომ ჰკითხონ, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობად მიგაჩნიათო? — პასუხი ხომ დადებითი იქნება. ამის მერე მოგვიგებენ, აბა, პროევროპელები რანაირად ხართო. რა წერია 9 პუნქტში? — ჩვენი ფასეულობები ევროპულს უნდა შევუსაბამოთ!

დასავლეთის მსგავსად, აქაც გაჩნდა ლიტერატურა, სადაც წერია, თუ რა კარგია განსხვავებული ორენტაცია. ერთ ამბავს მოგიყვებით: წლების წინ, კოვიდამდე, ამერიკის საელჩოს ჰყავდა კონსული, რომელიც მეუღლესთან (ჰომოსექსუალი პარტნიორი) ერთად აყვანილ შვილს (ბიჭი) ზრდიდა. ამერიკის საელჩოს ეზოში მიღება გაიმართა, ბიჭი ცელქობდა. ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატის ცოლმა ბავშვს ჰკითხა, სად არის დედაშენიო. ბიჭმა ქალს აზედა და გაიქცა. ზუსტად ორ წუთში მასთან ორი ანატომიური მამაკაცი მივიდა და უთხრეს, როგორ გაბედე ასეთი შეკითხვის დასმაო. ჩვენს შვილს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენე, როცა ჰკითხე, ვინ არის დედაშენიო. ჩვენ მისი მშობლები ვართო. ქალი თავჩაღუნული, ბოდიშის მოხდით წავიდა. მერე ის კონსული გაიწვიეს. თბილისი მსგავსი რაღაცებისთვის მზად არ იყო.

როგორც იცით, ბლინკენმა ხელი მოაწერა რეკომენდაციას, დეპარტამენტის თანამშრომლებმა თავი შეიკავონ ისეთი საეჭვო, კონფლიქტის გამომწვევი სიტყვების თქმისგან, როგორებიცაა დედა, მამა, და. არის ეს თავისუფლება და დემოკრატია?!

თამარ შველიძე

„მიშელიადას“ მეორე სერია და კასტრირებული ოპოზიცია

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, ევროკომისია სასამართლო სისტემას პრიორიტეტად აცხადებს. ჰერჩინსკის თქმით, მიზანი დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ქონაა. მანვე აღნიშნა, რომ აუცილებელია მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმება.

— დავიწყოთ იმით, რომ ამერიკაში არსებობდა ცენტრალური საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრი, რაც ჰიბრიდული ომის შემადგენელი კომპონენტია. ახლა ეს ცენტრი უკრაინიდან იმართება. დღეს გვეუბნებიან, ევროკავშირში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებების გახსნა ე. წ. ვეტინგზე გადისო. ეს გახლავთ ხაფანგი, რაც შარლ მიშელის ეპოპეას მაგონებს. გახსოვთ, მელიამ თავი რომ დააჭერინა. რა მოიგო ამით?! ან გახარიამ გადადგომით სამთავრობო ვერტიკალი რომ ჩამოშალა, შედეგი რა აქვს?! შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით ხელისუფლება ბევრ დათმობაზე წავიდა და ბოლოს, ამ ყველაფერს ოპოზიცია არ დაეთანხმა. ახლა „შარლ მიშელი“ გახლავთ სალომე ზურაბიშვილი. ოღონდ მიშელის პერიოდს წინ მიშას ჩამოსვლა უძღვოდა. ხომ ამბობენ, ოპოზიცია არჩევნების მეორე დღისთვის ემზადებაო. ჩემი გადმოსახედიდან, საალაშვილი არაჟნების კონტეინერს ჩამოჰყვა არა არჩევნების მეორე დღისთვის ან გამარჯვებისთვის, არამედ სამხრეთ კავკასიაში არეულობის მოსაწყობად.

ვეტინგს რაც შეეხება, სჯობს კეთილსინდისიერებაზე პროკურატურამ ჯერ საალაშვილის ოჯახი შეამოწმოს. მოსამართლეების ქონებაზე რომ ლაპარაკობენ, ჯერ კეზერაშვილის, საალაშვილის ქონებებზე ილაპარაკონ. აა, მოსამართლეები იქცევიან არაკეთილსინდისიერად?! დავიჯერო, ამ მოსამართლეებმა გიული ალასანიაზე ან კეზერაშვილზე მეტი ქონება დააგროვეს?! მოსამართლის კეთილსინდისიერება უფრო მნიშვნელოვანია, თუ მესამე პრეზიდენტის, ან ყოფილი თავდაცვის მინისტრის?! დასავლეთმა ახლა ქართული მართლმსაჯულებისთვის გადაწყვიტა დარტყმის მიყენება. ანგლოსაქსებს ჰგონიათ, რომ სხვასაც მათსავით მოკლე მეხსიერება აქვს.

რა თქმა უნდა, ვეტინგი დაუშვებელია. სასამართლო სისტემაში პრობლემები არის, მაგრამ ეს ქვეყნის შიგნით უნდა მოგვარდეს. კანონმდებლობას დროთა განმავლობაში შესწორება, კორექტირება სჭირდება, რაც ცოცხალი პროცესია. მაგალითად, საპროცესო კანონმდებლობას, დაზარალებულის უფლებების აღსადგენად, სერიოზული გადახედვა სჭირდება. ასევე, ცალკე უნდა ხდებოდეს მკვლელობების გამოძიება, რასაც სხვა ტიპის გონების, შესაძლებლობების, გამოცდილების ხალხი სჭირდება. პრობლემა ჩვენ უნდა გადავჭრათ და არა მათ. იცით, რას ნიშნავს უცხოელების მხრიდან ვეტინგზე ასეთი პედალირება? — რომ მათ სხვა სტრუქტურებში თავიანთი ჩანერგილები ჰყავთ, სასამართლოში კი, როგორც ჩანს, ასეთი ხალხი ეცოტავებათ. არჩევნების შედეგები მერე სასამართლოში საჩივრდება, ამიტომ სჭირდებათ ვეტინგი. საინტერესოა, ვეტინგს საკონსტიტუციო სასამართლოშიც ითხოვენ?! ანუ, იქ საკმარისად ჰყავთ შეგზავნილები?! ფაქტია, რომ დღეს სასამართლო მათი იარაღი ვერ არის, სხვა შემთხვევაში, ასეთი ზეწოლა არ იქნებოდა.

ნეოლიბერალების, ნეოკოლონიზატორების მხრიდან სამხრეთ კავკასიაში არეულობის გამოწვევა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. საფრანგეთი ინტენსიურად ცდილობს, სომხეთში ვითარება არიოს. ყარაბაღი ხომ დააკარგვინეს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ქაოსის შექმნა ისევ აქტუალურია. ეს ცენტრალური საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რაც კარგად უნდა გავითავისოთ. მათ კეთილი მიზნები არ ამოძრავებთ. როცა გვეუბნებიან, ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ კეთდებაო, ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ეს ხაფანგია. ახლა დაიწყეს საუბარი, ვეტინგი 9 პუნქტის შემადგენელი ნაწილია და ეს თუ არ ჩავატარეთ, ევროკავშირში არ მიგვიღებენო. ეს არის „შარლ მიშელი ინ ექშენ“-ის გაგრძელება. ანუ, „მიშელიადას“ მეორე სერია. წინა „მიშელიადას“ „ქართულმა ოცნებამ“ გაუძლო. ახლა რა ნაღმები გვაქვს? რა თქმა უნდა, პრეზიდენტადწოდებული გახლავთ ნაღმი, თან საფრანგეთის, რომელიც თავად ამ ქვეყანას ნაკლებად სჭირდება. ოპოზიცია პოლიტიკურად კასტრირებულია. რჩება ერთადერთი რამ — ვითარების გარედან, სომხეთიდან არევა.

— ჰერჩინსკიმ განაცხადა, კეთილსინდისიერების შემოწმება საჭიროა, რათა საქართველო ძლიერი დემოკრატია გახდესო...

— როგორი, ამერიკის დემოკრატიის მსგავსიო?! ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი ტენდენციური, არასამართლიანი, არადემოკრატიული სასამართლოსგან და ქვეყნისგან, როგორადაც დღეს ამერიკა აქციეს. ვინ მიგვითითებს დემოკრატიაზე, ვინც არჩევნები ფოსტით გამართა?! — ტრამპმა გაიმარჯვა და პრეზიდენტი ბაიდენია! რომელ სასამართლოზე და სამართლიანობაზე გველაპარაკებიან, როცა ერთსაც და მეორესაც საიდუმლო დოკუმენტები გარაჟებში უყრიათ. ამერიკის ელჩიც საქმეებს გარაჟებში არჩევდა. აშკარაა, ქართული სასამართლო ჩოქბჯენში ვერ დააყენეს და ცდილობენ, როგორმე ამას მიაღწიონ. კეთილი ინებონ და ჯერ თავიანთ სასამართლოს მიხედონ. დემოკრატია კი არა, ქვეყანა თავზე ემხობათ. კორუფციაზე რომ ლაპარაკობენ, ბაიდენის შვილი ყელამდე კორუფციაშია ჩაფლული, აღარაფერს ვამბობ მის ძმაზე ვინ გველაპარაკება კეთილსინდისიერებაზე, ნამუსი აღარ არის?! თავიანთ კეთილსინდისიერებას და ჩაოხრებულ საქმეებს მიხედონ. მათი ჭკუის სწავლება არაფერში გვჭირდება.

— პაპუაშვილი ევროკავშირის ელჩისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. მან აღნიშნა, რომ დასავლური დაფინანსება ქართულ მართლმსაჯულებაზე თავდასხმისთვის იხარჯება.

— ახლა დასავლეთისთვის ყველაზე მთავარი რგოლი სწორედ მართლმსაჯულებაა, მაგრამ ამაზე არ გაჩერდებიან. თუ რომელიმე სისტემას არ შეეხებიან, ე. ი. იქ ვითარების ასაწეწად საკმარისი რეზერვი, დასაყრდენი ჰყავთ. ვიმეორებ, მათი რჩევა-დარიგებები, ეს არის ახალი საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაცია, ანუ ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილი სამხრეთ კავკასიაში არეულობის დასაწყებად. ეს მათი პოლიტიკური ბადეა, მაგრამ თევზს ვეღარ იჭერენ. ამ ნეოლიბერალებისგან მხოლოდ სიცრუე მოდის. იგივე, ევროკომისრები საოცარ პროტექციონიზმსა და კორუფციაში არიან ჩაბმულები. ჩვენს სამშობლოს არ ავარევინებთ. ასე რომ, ვეტინგი, პირველ რიგში, ამერიკელ მოსამართლეებს სჭირდებათ. ჯერ იქ ჩაატარონ და თუ კარგი გამოვა, მერე ჩვენ შეიძლება უკეთესი მოვიფიქროთ.

— სტრასბურგმა გვარამიას სარჩელის მიღებაზე უარი უთხრა...

— ჯერჯერობით, სტრასბურგის სასამართლო ყველაზე სამართლიანი სტრუქტურაა, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე დარჩა. გახსოვს, „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ პიპინია აგულის რომ ეუბნება: ერიდე ქალებს, განსაკუთრებით, ევროპის ტერიტორიაზეო. ერთადერთი სამართლიანი „კუნძული“ სტრასბურგია.

— არადა, ევროპარლამენტარები გვიმტკიცებდნენ, გვარამიას თავისუფლება მედიის თავისუფლებას ნიშნავსო...

— ისევ და ისევ ხაფანგთან, ცენტრალურ საინფორმაციო ფსიქოლოგიურ ოპერაციასთან გვაქვს საქმე. ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილი იყო ისიც, თითქოს მიშა რომ კვდებოდა და დემენცია ჰქონდა. „სერიოზულად“ ვკითხულობ: ბაიდენი რომ ასეთ რთულ მდგომარეობაშია, ნეტავ, არავინ უთხრა, რომ „ვივამედში“ დემენცია იკურნება?! იქნებ, ჩამოიყვანონ. მიშას წაყვანა რომ უნდოდათ სამკურნალოდ, სად მიჰყავდათ?! აგერ, „ვივამედმა“ მედიცინაში გადატრაილება მოახდინა და მიშა დემენციისგან განკურნა. ვინმემ გააგებინოს ეს ბაიდენს და ჩამოიყვანონ სამკურნალოდ. ამაზე უკეთ სად უნდა უმკურნალონ.

— ალბათ, იმიტომ არ ჩამოჰყავთ, რომ ბაიდენს ამერიკელმა ექიმებმა სამედიცინო დასკვნაში ერთადერთი დაავადება — მოციმციმე არითმია დაუწერეს...

— ხო, აბა რა, ალმასივით გონება აქვს — მე-19, მე-18 საუკუნეებში რას აკეთებდა, ისიც ახსოვს, კოლუმბთან ერთადაც მოგზაურობდა და ამერიკის აღმოჩენაშიც დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მხოლოდ ბელგრადის დაბომბვა დაავიწყდა. რომელ დემენციაზეა საუბარი, როცა გადაწყვეტილებებს მიცვალებულებთან ერთად იღებს. ვინც ეგ დასკვნა დადო, იმ ექიმების კეთილსინდისიერებაც უნდა შემოწმდეს.

რადგან სამედიცინო დასკვნას შევეხეთ, გული მწყდება, რომ საქართველოში ამ დონის დანაშაული მოხდა, ვგულისხმობ, საალაშვილის დიაგნოზებს და ამაზე პასუხი არავის უგია. უსამართლობის მომსწრე ვართ. რატომ არ ისჯებიან ყალბი დასკვნის გამცემნი, რატომ განაგრძობენ მუშაობას, რატომ აქვთ ისევ ლიცენზია?! ნუ ჩამოართმევენ „ემპათიას“ ლიცენზიას, დაელოდონ, სანამ კიდევ ააყროლებს ვითარებას არჩევნების წინ. ნუ აღძრავენ საქმეს ყალბი დასკვნის გაცემაზე, რასაც პირდაპირ ეთერში ვუყურებდით. გაუგებარია, რატომ აფარებენ დამნაშავეებს ხელს?! მათ კეთილსინდისიერებაზე რატომ არავინ ლაპარაკობს?!

საალაშვილის ქადაგად დავარდნა სწორედ ყალბი დასკვნის პირდაპირი დადასტურებაა — რადიოაქტიური ნივთიერებები, წამება და დემენცია. დააკვირდით, ამ კაცს და ყალბ დასკვნას მტკიცება აღარ დასჭირდება. ამ ხალხს, როგორც არაპროფესიონალებს, რომელთაც ვერ გაიგეს, რომ სიმულაციას ჰქონდა ადგილი, სერტიფიკატი უნდა შეუჩერდეთ. თუ იცოდნენ და შეგნებულად გასცეს ასეთი დასკვნა, მაშინ ეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. რატომ დუმს ჯანდაცვა და პროკურატურა?!

თავის დროზე, შარლ მიშელის დროს, „ქართული ოცნება“ დაგებულ მახეში არ გაება. დარწმუნებული ვარ, ახლაც ფხიზლად იქნება. ვეტინგი არის სიყალბე, მარყუჟი კისერზე, რათა როგორმე ხელისუფლება დაასუსტონ. ოპოზიციას გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს. ამიტომ ცდილობენ, გარედან ჩარევით გაამარჯვებინონ, ხელისუფლება ჩამოშალონ და პოლიტიკურად კასტრირებულ ოპოზიციას რაღაც მაინც შეაძლებინონ. საბოლოო მიზანი ისევ და ისევ სამხრეთ კავკასიის აწეწვაა, რადგან სამხრეთ კავკასიაშიც და საქართველოშიც მშვიდობის შენარჩუნება ხელისუფლებაზე გადის. როგორც კი მას შეარყევენ, სამხრეთ კავკასიაც, „შუა დერეფანიც“ და სხვა ყველაფერიც მოგონებად იქცევა. ჩვენი მართლმადიდებლობაც მათი განსაკუთრებული სამიზნეა. ამ ხელისუფლების ქვეყნის სათავეში ყოფნა საქართველოს ინტერესებში შედის, რადგან მისი ცვლილება, ქვეყნის ისეთ რყევას გამოიწვევს, რომ შეიძლება სახელმწიფოებრიობაც დავკარგოთ. ეს გარიგება დიდი ხანია არსებობს. განსაკუთრებით სახიფათოა ის, რომ საფრანგეთმა სომხეთი, ფაქტობრივად, დაარწმუნა, რომ ყარაბაღი დაეთმო. არ დაგვავიწყდეს, რომ გეგმის თანახმად, სომხეთიც და საქართველოც ამ მორევში უნდა მოექცნენ. ამ საქმის დირიჟორი, „მაყურებელი“ დღეს საფრანგეთია. არც ის დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში, რომელიც ახლა სერიოზულ გარდაქმნას გადის, ძველი ლიბერალური ძალები მაინც არის შემორჩენილი, მათ შორისაა, სომხური ლობი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ძალიან ძლიერია. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ რუსეთში სომხური ლობის ინტერესი, საფრანგეთის, დასავლეთის ინტერესებს რომ დაემთხვეს, არც მინდა ვიფიქრო, რა მომავალი ელის საქართველოს. ასე რომ, ეს პოლიტიკური თამაშები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე გადის. ამიტომ ვეტინგსა და ამერიკის ჭკუის დარიგებებს ასე მარტივად ნუ შევხედავთ. ამას ბევრად შორს მიმავალი საფრთხეები მოჰყვება.

თამარ შველიძე

ვინც კორუფციისთვის გასამართლდა, მას დეპუტატის მანდატი აღარ უნდა მივცეთ!

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:

- ბატონო ალი, გასულ კვირას უდიდესი სიხარული მოგვიტანეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. თქვენთვის, როგორც ყოფილი ფეხბურთელისთვის, ეს გამარჯვება, ალბათ, კიდევ უფრო ამაღელვებელი იყო...

-მე ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვარ. დამთავრებული მაქვს მაშინდელი ფიზკულტურის ინტიტუტი, ფეხბურთის მწვრთნელის კვალიფიკაციით. თამაში ტრავმის გამო შევწყვიტე და მსაჯობა დავიწყე. ვმსაჯობდი საქართველოს პირველობაზე. ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან მქონდა ურთიერთობა. პირადად ვიცნობდი ბორის პაიჭაძეს, ნესტორ ჩხატარაშვილს, ილია ბოჭორიშვილს, მიმინოშვილს, მესხს, მეტრეველს... ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფეხბურთის მიმართ გულგრილი ვერასდროს ვიქნები.

ქართული ფეხბურთის გამარჯვება იყო ჩვენი ქვეყნის გამარჯვება. მე ვერ წავედი სტადიონზე, სახლიდან ვუყურებდი თამაშს და ვტიროდი... წარმოუდგენელი ემოციები მოგვანიჭეს ჩვენმა ბიჭებმა. მართალია, ბერძნები ძალიან უხეშად თამაშობდნენ, მაგრამ მსაჯის დამსახურება იყო, რომ თამაში „დაიჭირა" და ყველა თავის ადგილზე დააყენა. როგორც ყოფილი მეკარე, ვიტყვი, რომ უდიდესი დამსახურება მიუძღვის მეკარეს, ზოგადად, გუნდის წარმატებაში. ამ შემთხვევაშიც, გამარჯვების უდიდესი წილი სწორედ მეკარის დამსახურება იყო. ყველაფერი ხელს უწყობს გიორგი მამარდაშვილს - პროფესიონალიზმი, გარეგნობა და ვაჟკაცობაც იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი განუზომელი სიხარული მოეტანა.

მართლაც რომ გმირები არიან ჩვენი ბიჭები. ვულოცავ მთელ საქართველოს, მიხარია, ვამაყობ ჩვენი ფეხბურთელების წარმატებით! იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატშიც გაგვახარებენ და ღირსეულ ადგილი დაიკავებს საქართველოს ეროვნული ნაკრები!

- ქართულმა ფეხბურთმა უმძიმესი წლები გამოაიარა, თუმცა, იმედია ეს წარმატება სხვა დიდი წარმატებების საწინდარი გახდება ქართულ სპორტში...

- ქართული ფეხბურთი იყო ფეხბურთის აკადემია, რომელმაც შესანიშნავი თაობები აღზარდა. თვითონ ეს ლეგენდარული ფეხბურთელები ზრდიდნენ მომავალ თაობებს. უდიდესი ყურადღება ექცეოდა ბავშვთა სპორტს, რომელსაც ძალიან მშრომელი და წარმატებული ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. ტარდებოდა შიდა ტურნირები, შეჯიბრებები... ფეხბურთის სამმართველოს უფროსი იყო მაშინ ავთანდილ ჭკუასელი, რომელიც თითოეულ მსაჯს გვავალებდა, მოგვეძებნა რაიონებში პერსპექტიული ახალგაზრდები და მიგვეწოდებინა მათი მონაცემები სამმართველოსთვის. შემდეგ რაიონებში მოწინავე მწვრთნელები ჩადიოდნენ და არჩევდნენ მომავალ ფეხბურთელებს. მე, მაგალითად, გოგრიჭიანი ვნახე გაგრაში, გურული და ბარათაშვილი ჭიათურაში თამაშობდნენ და იქიდან ჩამოვიყვანე. საქართველოს მასშტაბით ვეძებდით ნიჭიერ ფეხბურთელებს და სწორედ ეს იყო ქართული ფეხბურთის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი... ამ ყველაფერმა მოიტანა დაუვიწყარი გამარჯვება 1981 წლის 13 მაისს, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რთული და კრიზისული პერიოდი დაიწყო. დაიშალა და განადგურდა სტადიონები, სპორტული კომპლექსები და სპორტული ჯგუფები, მთლიანად სისტემა მოიშალა...

წლების განმავლობაში დანგრეულის გამოსწორება უკვე „ქართულმა ოცნებამ" დაიწყო, რაც მარტივი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ წლები გავიდა და უკვე შედეგსაც ვხედავთ. ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ დაიწყო სპორტული კომპლექსებისა და პატარ-პატარა სპორტული მოედნების მშენებლობა, თბილისსა და რეგიონებში, სადაც ფეხბურთს თუ არ ითამაშებს, ირბენს, ივარჯიშებს, გაჯანსაღდება ადამიანი... მაგალითად, ავიღოთ ქვემო ქართლი, მარნეული, სადაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა, მათ სტადიონიც არ ჰქონდათ, როცა შეიძლება, მარნეულში ერთი კარგი ფეხბურთის გუნდი ჩამოყალიბდეს. ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ახლა კი მარნეულში ისეთი სტადიონი შენდება, სირცხვილიც იქნება, თუ მათ ძლიერი გუნდი არ ეყოლებათ.

დღეს რომ ჩვენი მორაგბეების მიღწევებით ვამაყობთ, ეს იმის დამსახურებაა, რომ რაგბის ახალი სკოლა შეიქმნა. ვხედავთ, როგორი წარმატებები აქვთ მსოფლიო ასპარეზზე ქართველ ძალოსნებსა და მოჭიდავეებს. ეს უდიდესი გამარჯვებაც, რასაც აქამდე სიზმარშიც ვერ ვნახავდით, იმის დამსახურებაა, რომ ქართული სპორტი პერსპექტიულად ვითარდება.

- ოპოზიციამ ეს საყოველთაო სიხარულიც ვერ გაიზიარა. უეფა-ს აღიარებით გაღიზიანებულებს ისღა დარჩენიათ, მსოფლიო ჩემპიონატზე უკრაინის გამარჯვება ინატრონ...

- რამდენიმე დღის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის 33 წლისთავი აღვნიშნეთ და მინდა გითხრათ, რომ ეს ოპოზიცია რომ ყოფილიყო 1991 წელს, ზვიად გამსახურდიას დროს, როცა რეფერენდუმი ჩატარდა, ამდენ ხმას ნამდვილად ვერ ავიღებდით. საქართველოს მოსახლეობის 90-მა პროცენტმა მისცა ხმა მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ესენი არიან შურიანი, ბოღმიანი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ოცნებობენ და ამის გამო ყველაფერს კადრულობენ. პირველ რიგში, ჩვენს ტრადიციებს და ქართულ ეკლესიას ებრძვიან - ქვეყნის სულიერ ძალას. ებრძვიან ყველაფერს, რაც ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოგვიტანეს. ამ მიზნით მოვიდნენ 2003 წელს, როცა ძალადობით ჩაიგდეს ხელში ხელისუფლება და დღემდე ცდილობენ, ქვეყანას, საერთაშორისო ასპარეზზე სახელი შეულახონ. ვითომ კორუფციას ებრძვიან, მაგრამ ყველაზე დიდი კორუფციონერები თვითონ იყვნენ. დღემდე იმ „ნადავლით" ცხოვრობენ, რაც საქართველოდან გაიტანეს და ქართველ ხალხს წაართვეს. იმით აქვთ ტელევიზიები, პარტიები, ოფისებს ინახავენ, იმ ფულებით დადიან დღესაც საზღვარგარეთ. უკვე აღარც ერიდებიან და ღიად ადასტურებენ, რომ საკუთარ სამშობლოს ყიდიან, მაგრამ ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!

წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ანადგურებენ ქართულ კულტურას და არანაირი წინსვლა არ ახარებთ, რასაც ქვეყანა „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში აღწევს, მათ შორის - არც ეს უდიდესი წარმატება ფეხბურთში. მათი ბოროტება და საშინელი დანაშაულები ქართველ საზოგადოებას არ დავიწყებია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სამაგალითოდ ვერ დაისაჯნენ ეს ადამიანები. მერაბიშვილი და უგულავა, გვარამია თუ სხვები კი არ უნდა შეეწყალებინათ, მათთვის, სულ მცირე, 20-20 წელი ციხე უნდა მიესაჯათ. მე ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ კონსტიტუციაში შევა შესაბამისი მუხლი, რის მიხედვითაც, იმ ადამიანებს, ვინც კოპუფციისთვის გასამართლდნენ, დეპუტატის მანდატის მიღების უფლება აღარ ექნებათ.

კირკიტაძემ გაყიდა ქვემო ქართლი, აზერბაიჯანულ სოფელში საძოვრები აღარ დაუტოვა მოსახლეობას თავისი გუბერნატორობის პერიოდში. ახლა კი ეს ადამიანი პალამენტში ზის და ფასებზე და ხალხის გაჭირვებაზე ლაპარაკობს! საქართველო არის დღეს ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანა ევროპაში. ჩვენი პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, ეს განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდა ადამიანი, წარმატებით აგრძელებს თავისი წინამორბედის დაწყებულ საქმეს. მისასალმებელია, რომ მისი პრემიერობის დასაწყისში, პირველი ვიზიტები სწორედ ტრანსკავკასიური დერეფნის განვითარებას და სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებას უკავშირდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრების მიზანი აზერბაიჯანისა და სომხეთის პირველ პირებთან, სწორედ მშვიდობის დამყარებაა რეგიონში და იმედია, მალე საქართველოს შუამდგომლობით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაც გაფორმდება.

- როგორც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი, რას ურჩევდით მმართველ გუნდს, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ 2024 წლის არჩევნებმა ქვეყნისთვის მისაღები და სასურველი შედეგები დადოს?

- სულაც რომ იდეალური არჩევნები ჩაატარო, ჩვენი ოპოზიცია მაინც ქუჩაში გამოვა და იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა. ეს მათი ნაცადი მეთოდია და აღარ გვიკვირს. თუმცა, ცნობილია, რომ თანამედროვე ელექტრონული მეთოდი არჩევნების გაყალბების ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს.

სახელისუფლებო სტრუქტურებში რომ სხედან დღემდე, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე „ნაციონალები" და თან ღიად თუ ფარულად „ქართულ ოცნებას" აგინებენ, ეს ხელისუფლების დანაშაულია. 2024 წლის უმნიშვნელოვანეს არჩევნებზე მათ ხმა აღარ უნდა მივცეთ და დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ პოლიტიკურ სანაგვეზე, რადგან აღარ გვჭირდება ეს ადამიანები - არც დაშლილი და არც გაერთიანებული!

ხალხი ბრძენია და ხედავს, რომ თუკი რამ გაკეთდა ქვეყნისთვის სასიკეთოდ ბოლო ათეული წლების განმავლობაში, ყველა წარმატების ავტორი „ქართული ოცნებაა."

დეპუტატებმა უნდა იარონ, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა თუ სოფლებში, სადაც ინფორმაციის ნაკლებობაა და მიაწოდონ საზოგადოებას რეალური ინფორმაცია. მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ, რომ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ნამდვილად არის პარტია მშვიდობისათვის, კეთილდღეობისა და ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის!

ნონა ქარქაშაძე

მხოლოდ გამარჯვება!

ერთი კვირა გავიდა, რაც „დინამო არენაზე“ გაერთიანებული ქართული სული ზეიმობდა, როცა ერთიანი იყო საქართველო, როცა არ არსებობდა „მე“ და „შენ“, ერთი სხეული იყო სრულიად საქართველო. სპორტის ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის ჯერაც არ განელებულა ერთი კვირის წინანდელი ეიფორია.

გაგიმარჯოთ, ბიჭებო! — არ მომწყინდება ამ სიტყვების გამეორება (ეს სიტყვები, თავისთავად, გამორიცხავს უარყოფით დამოკიდებულებას ცალკეული პიროვნებებისადმი და ერთგვარი შენდობა-პატიებაც არის — გამგები გაიგებს...)

ვინაიდან უკვე არაერთხელ ითქვა, რა უბედურებაც დაგვმართა მიხეილ სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა საქართველოში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების კუთხით, იმას აღარ გავიმეორებ და მხოლოდ ჩემსას ვიტყვი, გვერდიდან დანახულს.

მე არ მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საქმე არ არის, რადგან მავანი ფიქრობს, რომ „სპორტი კაცების „საქმეა“, ვინაიდან ბავშვობაში პოლიკლინიკაში მიყვანილს პაციენტის ისტორიაში ჩამიწერეს, რომ მიდრეკილება მქონდა რაქიტისკენ და ამის შველა მხოლოდ განსაკუთრებული კვებითა და სპორტით შეიძლებოდა, დედაჩემმა მტაცა ხელი და რაც კი არსებობდა, ყველა სპორტულ წრეზე შემიყვანა ცურვისა და კალათბურთის გარდა. შედეგად რა მიიღო, სხვა საკითხია, მაგრამ მე და რაქიტი მყარად რომ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ფაქტია.

მე რომ რაცა ვარ, ისა ვარ — ეს სპორტის დამსახურებაა; მე რომ ვარჩევ, რა არის ვაჟკაცობა და რა არის ფარჩაკობა — ესეც სპორტის დამსახურებაა. უამრავი რამ, რაც სპორტმა მომცა, ჩემში პიროვნულ თვისებებად გადაიქცა.

ჩერმენ ძებისაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრის გამგე, მრისხანე კაცი იყო. ჩემს თანამედროვე ირინა გაბაშვილს (ის რუსულ ფილოლოგიურზე სწავლობდა, მე — ქართულზე) ევროპის ჩემპიონს მხატვრულ ტანვარჯიშში, ჩათვლა არ მისცა ფიზკულტურაში — არ მაინტერესებს ტიტული, ეგ გოგონა, თვალით არ მინახავსო. კათედრის გამგე ელგუჯა ხინთიბიძე იყო მაშინ და ეუბნებოდა, ჩერმენ, დაგიჩოქებ, დაუწერე ჩათვლაო და მაინც არ უწერდა, კურსზე ტოვებდა...

ახლა, როცა ჯერ მეც არ გამოვსულვარ წინა კვირის ჩვენი ფეხბურთელთა თავგამოდებიდან, საღი აზრიც დამიმკვიდრდა: სპორტი — ეს არის ის „გასართობი“, რომელიც ისე გართობს, რომ სხვა (მავნებლური) გასართობი აღარ გინდა!

სპორტი საკუთარი სხეულის ფლობის კულტურაა — არა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის მეთოდთაგანი, სპორტი სულსაც აჯანსაღებს...

პირადად მე იმ დროში მომიწია მოწაფეობამ, როცა გაკვეთილები ცხრის ნახევარზე გვეწყებოდა, მაგრამ რვა საათზე სკოლის ეზოში უნდა ვყოფილიყავით, რათა 25 წუთის განმავლობაში მარტივი სპორტული მოძრაობები შეგვესრულებინა. აღრიცხვა მკაცრად კონტროლდებოდა. საბჭოთა ბავშვები ვიყავით, რომელთაც ცოცხალ, ჯანმრთელ მეომრულ სულს გვიყალიბებდნენ...

ვიღაც იტყვის, მარაზმი იყოო. რატომ იყო მარაზმი? ჯანსაღი ცხოვრების წესი ვინ და რამ გახადა მარაზმი?

ქართული სპორტის ისტორიაში ისტორიული გამარჯვება გვაჩუქეს წინა კვირას ჩვენმა ბიჭებმა, საქართველოს ნაკრების წევრებმა და სამადლობელი სიტყვები მრავალგზის უნდა გავიმეოროთ ევროპის ჩემპიონატზე გასვლამდე — ეს ელემენტარული სულიერი მხარდაჭერაა!

თავდაპირველად წითელ ხაზად ვიტყვი: როდესაც შენი სპორტსმენები აღარ გაგირბიან ქვეყნიდან და სხვა ქვეყნის სახელით აღარ ასპარეზობენ, ეს არსებული ხელისუფლების დამსახურებაა! მოდი, რა, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი — ეს არც პირფერობაა და არც დივიდენდების მოპოვების საშუალება, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა!

სოციალურ ქსელში ნიკა პაპასკირის სურათი ვნახე, კომენტარად ეწერა: „პირადად არ ვიცნობ ნიკა კვეკვესკირს, სამეგრელოში და სამურზაყანოში (ანუ ახლანდელ გალში) მის გვარს კვეკვესკუად მოიხსენიებენ. გუშინდელმა გამარჯვებამ მთელს ერს დიდი სიხარული მოგვიტანა!!! განსაკუთრებით, ალბათ, საბერძნეთში მცხოვრები ჩვენი ემიგრანტები იამაყებდნენ ამ დიდი გამარჯვებით. ბევრი კადრი და ემოცია მიტრიალებს, ეს საათებია, თავში, მაგრამ ამ სურათში, პირადად მე ყველაზე დიდ ემოციას ვხედავ. მაგალითად, გერმანელისთვის, ან ფრანგისთვის ეს სურათი სხვანაირად გამოჩნდება, მაგალითად ისე, რომ პროფესიონალი, გამოცდილი ფეხბურთელი, კონცენტრირებული ემზადება გადამწყვეტი (ან თუნდაც ისტორიული) პენალტის შესასრულებლად და, პრინციპში, მართალიც იქნება, მაგრამ მე, ადამიანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მახსოვს ჩემი ბავშვობიდან, რა არის აფხაზეთი და სამურზაყანო. ამ გამოხედვაში დავინახე ქართველი (კოლხი) კაცის სევდიანი, მაგრამ ამაყი მზერა, რომელიც ენგურს გაღმა იყურება და მის მიწა-წყალს ოდა-ბადეს მონატრებით გაჰყურებს! და თუ ამ ისტორიულ გოლს გაიტანს, აუცილებლად დაუბრუნდება თავისი მშობლიური სახლი, რომელიც, როცა ის დაიბადა, უკვე დაკარგული გვქონდა, მაგრამ მისმა ოჯახმა ისე გაზარდა, რომ ის კუთხე მაინც ყოველთვის მისი იყო, არის და იქნება“.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე სხვანაირად წავიკითხე ეს ყველაფერი — ის კი არ უნდა დაითვალო, რამდენი უაზრო ნადარაიაა აფხაზეთში, არამედ ის, რამდენი აზრიანი ქართველია საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთში...

სპორტს დავუბრუნდეთ. სპორტის იმდენი სახეობა არსებობს, ყველას რა ფორმატი განიხილავს, „საერთო გაზეთი“ ვერ დაიტევს, მაგრამ მე ჩემი საქართველოს ღირსეულ შვილებს გვერდს ვერ ავუვლი.

პირველმა ქართველმა ათლეტმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პირველად 7 ათეული წლის წინათ, 19 აპრილს მოიგო. პირველი ჩემპიონი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გივი კარტოზია გახდა, რომელმაც დამსახურებული ოქროს მედლით ნეაპოლი შეაზანზარა და გაგრძელდა საქართველოს სპორტული დიდება!

ვინაიდან ბევრი ქართველი მსოფლიო ჩემპიონმა ჩემს დაბადებამდე ასახელა ჩემი სამშობლო, შესაძლოა, ზოგიერთი არ გამახსენდეს, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, არ გამომრჩეს თითოეული მათგანის დიდება, მიხედავად პარტიული კუთვნილებისა: ალექსანდრე ანპილოგოვი, გიორგი ასანიძე, ალინა ბუტაევა, დავით გობეჯიშვილი, ზურაბ ზვიადაური, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ნინო სალუქვაძე, ვიქტორ სანეევი, ლაშა ტალახაძე, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, მედეა ჯუღელი და ა. შ. — ერთ ამოსუნთქვაზე მეტი უცბად ვერ გავიხსენე და მეპატიოს...

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ძალგულოვანი ხალხი ბუნებრივად არსებობს, მხოლოდ მცირეოდენი ხელის წაშველებაა საჭირო, რომ ისინი მსოფლიომ გაიცნოს...

საქართველო-საბერძნეთის შერკინებამდე წავიკითხე, ქართველებმა რა იციან თანამედროვე ფეხბურთის, ერთი კვარაცხელია ჰყავთ და მეორე მამარდაშვილი, დანარჩენები „კუთხის მაღაზია“ გუნდებში თამაშობენო. ძალიან გავბრაზდი და კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ბიჭებს, რომ კბილებით დაიცვეს გუნდის ღირსება, საქართველოს ღირსება, ხოლო გიორგი მამამარდაშვილმა მთლად ძირს დასცა ბერძენი ფეხბურთელების მწვრთნელის მოლოდინები — კაცი გაოგნებული ამბობდა, ორი თამაშია, გოლი არ გაგვიშვია და რატომ ვერ მოვხვდით ევროლიგაზე, ვერ გამიგიაო.

ერთგვარად ისე ჩანს, რომ სრულიად საქართველო ვერ გამოვსულვართ წინა კვირის ფეხბურთის შედეგის ეიფორიიდან, მაგრამ ასე არ არის. პირადად მე ის ქართველი ქალი ვარ, ყველა ქართველი სპორტსმენის გამარჯვების თანაზიარი რომ ვარ და ღამეებს ვუთენებ — რაც მე გენო პეტრიაშვილს „ვბალელშიკობდი“, ალბათ, მისი დედა და ცოლი თუ დამიდგებიან მხარდამხარ. ეს, ისე, სახალისოდ ვთქვი.

წარმოგიდგენიათ, რომ ადამიანი ქინქლასავით მსუბუქი იყოს და ჭიდაობდეს? — როცა ნუგზარ წურწუმია გყავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რატომაც არა? 55-კილოგრამიანი სასწაული მახრჩობელა როგორია?

ლაშა ტალახაძეზე რაღა ვთქვა, მის აკვრაზე და ატაცზე ყველა საიდიდებელი სიტყვა ნათქვამია...

ქართველ „ჰალკზე“ რაღა ვთქვა, ჩვენს ლევან საგინაშვილზე...

„ქართველ ხარზე“, კონსტანტინე ჯანაშიაზე რაღა ვთქვა, ამაზე ყველაზე უკეთ მისი თიკუნი ამბობს.

აღარაფერს ვამბობ ჭადრაკის დედოფალზე, ჩვენს საამაყო ნონა გაფრინდაშვილზე...

ჩვენ ქალთა ნაკრებზე რაღა ვთქვა, მრავალგზის რომ გვასახელეს საქართველო ეტლით ფარიკაობაში ირმა ხეცურიანმა, ნინა თიბილაშვილმა და გვანცა ზადიშვილმა — პოლონეთის გუნდი უძლიერესად იყო ცნობილი და 45-30-ით მოუგეს. საქართველოს პარამოფარიკავე ქალთა ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. მეტი რა ვქნათ ამ ციდა ერმა?

გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს, დიდი წიგნია საჭირო ქართველი ერის სპორტული მიღწევების სადიდებლად..

სხვისი არ ვიცი, მაგრამ როგორც სპორტის მოყვარული ადამიანს ძალზე მომეწონა მიხეილ ყაველაშვილის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მომზადებული აქვს საინტერესო გეგმა სპორტთან დაკავშირებით; რომ საქართველო უნდა გახდეს სპორტული ქვეყანა, სპორტული ერი. „საზოგადოება მზად არის გამოწვევებისთვის, გულშემატკივრობისთვის და ეს აჩვენა კიდეც, როცა მეთორმეტე მოთამაშედ იყო სტადიონზე წარმოდგენილი. ფეხბურთის ძალა გვაერთიანებს! ეს არის სახე ფეხბურთისა და არა ის უმსგავსობა, რაც „ვივამედთან“ ხდება, — დაიწყო ყველამ მაისურის ჩაცმა, არადა, მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა, რომ ფეხბურთი ნადგურდებოდა თავისი ინფრასტრუქტურით და შედეგიც შესაბამისი იყო“, — თქვა მიხეილ ყაველაშვილმა და შეუძლებელია, არ დაეთანხმო. კიდევ ბევრი საინტერესო რამ თქვა მიხეილმა, მაგრამ ერთი დამამახსოვრდა გამორჩეულად: დათო ყიფიანი ქართული ფეხბურთის რაინდი იყო, „ვეფხისტყაოსნიდან გადმოსული“ და დორტმუნდში, ფეხბურთის ქომაგებს ვთხოვ, სტადიონზე მისი ბანერი გაშალონ, გაიგოს ევროპამ ვისი შთამომავლები ვართო, — რაღაცნაირი სიტყვა იყო, ამეტირა...

„ჯორჯიან ეარვეისმა“ გერმანიაში „ევრო-2024-ზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშებზე დასწრების მსურველებისთვის სპეციალურ პირდაპირ ფრენებს შეასრულებს. ინფორმაცია თვით ავიაკომპანიამ გაავრცელა. თბილისიდან დორტმუნდში პირდაპირი ფრენები შესრულდება 17 ივნისს (გამოფრენა თბილისში 19 ივნისს); თბილისიდან ჰამბურგში — 21 ივნისს (გამოფრენა 23 ივნისს); თბილისიდან დიუსელდორფში გაფრენა 25 ივნისს, გამოფრენა 27 ივნისს; იგულისხმება, რომ რეისები შესრულდება მგზავრებისთვის მატჩებზე დასასწრებად მოხერხებულ დროს.

„ერთად ვუგულშემატკივროთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს!“ — აღნიშნულია ავიაკომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საერთო გაზეთი“ მუდამ ქართული სპორტის გვერდით დგას!

როგორ დავიცვათ პერსონალური მონაცემები

2024 წლის 1 მარტს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი ამოქმედდა და ივნისიდან ყველა კომპანია, ორგანიზაცია, რომელიც დიდი რაოდენობით მონაცემებს ამუშავებს, ვალდებულია, ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ფირმაში დასაქმებული თანამშრომლების უფლებებს დაიცავს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანია, ორგანიზაცია, შესაძლოა, 1000-დან 10 000 ლარამდე დაჯარიმდეს.



რა არის პერსონალური ინფორმაცია?

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომლითაც ადამიანის იდენტიფიცირება შესაძლებელი. პერსონალური მონაცემებია: **სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ფოტო, ვიდეოგამოსახულება, თითის ანაბეჭდი, მისამართი, ადგილმდებარეობა, ტელეფონის ნომერი, IP მისამართი**. მაგალითად, **სახელი და გვარი** ის პერსონალური მონაცემია, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდან აქვს. თუმცა, ერთი და იგივე სახელისა და გვარის მატარებელი ადამიანი შეიძლება, ბევრი იყოს და პირის იდენტიფიცირებისთვის მხოლოდ ეს ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდეს. **პირადი ნომერიც** ადამიანს დაბადების რეგისტრაციისას ენიჭება. ეს ციფრების უნიკალური კომბინაციაა და არ მეორდება. პირადი ნომრით ადამიანზე ბევრი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, მაგალითად, **მისამართის**, ან იმის, თუ რა ქონებას ფლობს ის. **ფოტო, ან თითის ანაბეჭდი, სახელისა** და გვარისაგან განსხვავებით, უნიკალურია და მათი მეშვეობით ადამიანის იდენტიფიცირება ასპროცენტიანი სიზუსტით არის შესაძლებელი. **ვიდეოჩანაწერი**, ისევე, როგორც **სელფი**, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ვიდეოზე ადამიანები თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან, საინტერესო ან სახალისო მომენტებს აღბეჭდავენ და **სოციალურ ქსელში მათ გაზიარებას ჩქარობენ**. თუმცა, **ხშირად არ იციან, რომ ადამიანის ვიდეოგამოსახულება მისი პერსონალური მონაცემია და გარეგნობის გარდა, ადამიანის უნარების, მანერების, ჟესტიკულაციის, ქცევისა და სხვა თვისებების შესახებ უამრავ ინფორმაციას შეიცავს. მისამართი** ის პერსონალაური მონაცემია, რომლითაც ადამიანის საცხოვრებელი ადგილის დადგენაა შესაძლებელი. ის ადამიანთან დასაკავშირებლად, მისთვის წერილის ან ნივთის გასაგზავნად გამოიყენება. თუმცა, ზოგჯერ პირის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი ერთმანეთს შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს.

დღეს არ გვეგულება ადამიანი, რომელიც ტელეფონს არ იყენებს და შესაბამისად - **ტელეფონის ნომერი** ისეთივე პერსონალური მონაცემია, როგორც სახელი ან მისამართი. სმარტფონები და სხვადასხვა აპლიკაციები ხშირად ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას ითხოვენ. ხშირად, ჩვენ თვითონ ვასაჯაროებთ ამ ინფორმაციას სოციალურ ქსელში და შეიძლება, ვერც ვიაზრებთ, რომ **ადგილმდებარეობის მონიშვნით** (check-in) პერსონალურ მონაცემს ვამჟღავნებთ. **ლოკაციის მონაცემების ანალიზით ადამიანზე ბევრი პირადი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი, მათ შორის დროის კონკრეტულ მონაკვეთში ადგილმდებარეობის და გადაადგილების მარშრუტის შესახებ**.

IP მისამართიც პერსონალური მონაცემებისა და ინტერნეტის განუყოფელ ცნებებად იქცა. ყველა ინტერნეტ მომხმარებელს აქვს უნიკალური IP მისამართი, რომელსაც პროვაიდერი კომპანია გასცემს (არეგისტრირებს) და რომლითაც არამხოლოდ პირის ვინაობისა და მისამართის, არამედ ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენაც არის შესაძლებელი.

ვინ იყენებს ჩვენს პერსონალურ მონაცემებს?

ჩვენს პირად მონაცემებს ყველაზე ხშირად იყენებენ ბანკები - სესხის გასაცემად, ასევე მარკეტინგული კომპანიები - კლიენტზე მორგებული რეკლამის განსათავსებლად. რიგ შემთხვევებში, მონაცემების გარეშე მომსახურების მიღება, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგალითად, პირადობის მოწმობას ფოტოს წარდგენის გარეშე ვერ მივიღებთ. განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის მონაცემებს სახელმწიფო აგროვებს და იყენებს. მასაც ისევე სჭირდება ჩვენი მონაცემები, როგორც კომპანიებს. მაგალითად, **დანაშაულის გახსნისთვის** საგამოძიებო ორგანომ, სასამართლოს ნებართვით, შესაძლოა, სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენაც კი აწარმოოს. **რაც უფრო მეტი მონაცემია სახელმწიფოს ან კერძო კომპანიის ხელში, მით უფრო მაღალია ამ მონაცემების ბოროტად გამოყენების რისკი**. მაგალითად, კომპანიამ საკუთარი ფინანსური მიზნებისათვის იმაზე მეტი მონაცემი შეიძლება გამოიყენოს, ვიდრე ეს მომსახურების გასაწევად არის აუცილებელი, ან ჩვენი ნებართვის გარეშე, ჩვენი მონაცემები, მაგალითად, ტელეფონის ნომრების ბაზა, სხვა კომპანიას მიჰყიდოს.

პერსონალურ მონაცემებს ჰაკერები, თაღლითები, სტალკერები და ინტერნეტ-ხულიგნები წარმატებით იყენებენს - ეს იმ ადამიანების არასრული ჩამონათვალია, ვინც სხვის პერსონალურ მონაცემებზე ფინანსური, პირადი ან პოლიტიკური ინტერესის გამო „ნადირობს“. ნებისმიერ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებამ ან გამოყენებამ შესაძლოა, როგორც ფინანსური, ისე მორალური ზიანი მოგაყენოთ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ხშირად, ჩვენს კონფიდენციალურობას თავადვე ვაყენებთ რისკის ქვეშ, როდესაც ჩვენს მონაცემებს უცხო პირებს დაუფიქრებლად ვუზიარებთ, ან სოციალურ ქსელში ვასაჯაროებთ.

რა სახის პერსონალური მონაცემებია დაცული?

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია პერსონალური მონაცემების დაცვას ადამიანის პირადი ცხოვრების ნაწილად მოიაზრებს და მათ დაცვას ადამიანის ძირითად უფლებად აღიარებს. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც მის შესახებ ინახავს. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასეთი ჩარევა უნდა იყოს: კანონიერი, დასაბუთებული, აუცილებელი, პროპორციული. **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საქართველოს კონსტიტუციითაა აღიარებული**.

შესაბამისად, პერსონალური მონაცემები არ არის საჯარო ინფორმაცია. **სახელმწიფო ორგანოები, ასევე კომერციული ორგანიზაციები ვალდებული არიან,** დაიცვან შემდეგი მონაცემების კონფიდენციალურობა: მესამე პირზე არ გაცენ პირის ვინაობა, მისამართი, დიაგნოზი, საბანკო ანგარიშის ნომერი, ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებულად დაცული უნდა იყოს ისეთი სენსიტიური ინფორმაცია, როგორიცაა: **რასა და ეთნიკური კუთვნილება; პოლიტიკური შეხედულებები; რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსი; პროფესიული კავშირის წევრობა; ჯანმრთელობის მდგომარეობა; სქესობრივი ცხოვრება; ნასამართლობა; პატიმრობა; ინფორმაცია საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ; ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები. ამ მონაცემების გამჟღავნება პირის თანხმობის გარეშე დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა**.

რა სახის პერსონალური მონაცემები არ არის დაცული?

პერსონალური მონაცემები ყოველთვის კონფიდენციალური არ არის და, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარკვეული ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს. ასეთი გამონაკლისი შემდეგ შემთხვევებშია დასაშვები: სასამართლოს გადაწყვეტილებით; კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას; საჯარო ინტერესის არსებობისას. **მონაცემთა გასაჯაროების სხვა შემთხვევები**. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, მონაცემები, გარდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებისა, შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ან გასაჯაროვდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის თანხმობით; თუ მონაცემთა გამჟღავნება გათვალისწინებულია კანონით.

რა ეკრძალება მედიას?

ჟურნალისტის მიერ პირის (ინტერვიუერის) ნებართვის გარეშე, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ჩაითვლება პერსონალურ მონაცემად, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საჯარო ინტერესი გადაწონის პირადი ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. კოდექსის მე-10 თავი ადგენს დეტალურ წესებს, რომლებიც ჟურნალისტებმა ინფორმაციის გაშუქებისას უნდა დაიცვან. ეს წესები შეეხება: საჯარო თავშეყრის ადგილებში გადაღებული ისეთი კადრების გამოყენებას, რომელიც პერსონალური მონაცემების მატარებელია; სკოლებში, საჯარო და კერძო დაწესებულების ტერიტორიაზე გადაღებული კადრების გამოყენებას; სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გამოყენებას; გარდაცვლილი პირის, დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას; არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას; ეჭვმიტანილის იდენტიფიცირებას; სექსუალური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას.

ვის უნდა მივმართოთ ჩვენი უფლებების დასაცავად?

ჩვენი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში, შეგვიძლია მივმართოთ: **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს;** პოლიციას, მედიის თვითრეგულირების ორგანოს; სოციალური მედიის შემთხვევაში, **შესაბამის სოციალურ ქსელს; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს შეგვიძლია მივმართოთ, თუ ჩვენი უფლებები ირღვევა კომერციული ორგანიზაციის, სახელმწიფო ორგანოს ან კერ-**

ძო პირის მხრიდან. ინსპექტორს ევალება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული კანონდარღვევების შესწავლა და მათზე რეაგირება. ის განიხილავს მოქალაქეთა საჩივარს და თუ დარღვევას აღმოაჩენს, მოსთხოვს ორგანიზაციას დარღვევის გამოსწორებას და, საჭიროების შემთხვევაში, დააჯარიმებს. **შეგვიძლია მივმართოთ სამართალდამცავებს.** პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება ან გავრცელება, მათ შორის ინტერნეტში გასაჯაროება, სისხლის სამართლის დანაშაულია. მაგალითად, თუ ვინმემ თქვენი პირადული ვიდეო უნებართვოდ გადმოტვირთა თქვენი კომპიუტერიდან ან მობილური ტელეფონიდან და სოციალურ ქსელში გაავრცელა, უნდა დაუკავშირდეთ პოლიციას. თქვენი განცხადების საფუძველზე დანაშაულის გამოძიება დაიწყება. **მედის მხრიდან თქვენი** უფლების დარღვევის შემთხვევაში, თუ მედია თქვენი ნებართვის გარეშე აქვეყნებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და არც საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, მაუწყებლების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ მაუწყებელთა გასაჩივრების კომისიას, ხოლო სხვა მედიების შემთხვევაში - ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას.

სოციალური მედია. თუ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ თქვენს ფოტოს ან ვიდეოს ვინმე თქვენი ნებართვის საკუთარ გვერდზე განათავსებს ან თქვენს ფოტოს საკუთარ პროფილად დააყენებს, შეგიძლიათ, ეს ფაქტი გაასაჩივროთ და მასალის წაშლა მოითხოვოთ. **Facebook**-ის შემთხვევაში, გადადით ბმულზე, მონიშნეთ მასალა, რომლის წაშლაც გსურთ, მიუთითეთ ბმული (**URL**), რომელზეც განთავსებულია წასაშლელი მასალა და გაგზავნეთ (**send**) შეტყობინება. ამის გარდა, **Facebook-ი** შესაძლებლობას გაძლევთ, გაუგზავნოთ შეტყობინება იმ მომხმარებლის შესახებ, რომელიც თქვენს ფოტოს ან ვიდეოს აზიარებს. გადადით თქვენთვის საინტერესო მომხმარებლის პროფილზე, გარეკანის **ფოტოს (cover photo) მარჯვენა ქვედა კუთხეში დაკლილეთ და "Give feedback" ან "report this profile"** აირჩიეთ, შემდეგ კი ინსტრუქციას მიჰყევით.

Instagram-ის შემთხვევაში გადადიხართ ბმულზე, მონიშნავთ სავალდებულო შეკითხვებზე პასუხები, მიუთითეთ ბმული, რომელზეც განთავსებულია თქვენთვის საინტერესო მასალა და გაგზავნეთ შეტყობინება.

Youtube-ის შემთხვევაში გადადით ბმულზე და შეავსეთ ანკეტა, რომელშიც რამდენიმე აუცილებელი ინფორმაცია უნდა შეიყვანოთ და მიიღებთ პასუხებს თქვენს საჩივართან დაკავშირებით

თუ მოქალაქეს არ სურს, ნებით თუ უნებლიეთ დანაშაულის იარაღად იქცეს, იგი ვალდებულია, კარგად იცნობდეს კანონს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ".

ლევან ჭიღლაძე

იცოდით თუ არა, რომ?

❖ ხოჭოს ვაშლის გემო აქვს, ბზიკს – მიწისთხილის, ჭიას – შემწვარი ბეკონის.

❖ ფრანგულს კოცნას ფრანგები „ინგლისურ კოცნას" ეძახიან.

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი ამწე იწონის 46 000 ტონას. სიმაღლეშია 95, ხოლო სიგანეში 215 მეტრია. აშკარად დიდია.

❖ ველოსიპედი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა 1493 წელს.

❖ ტოტალიზატორი დედოფალმა ანა სტიუარტმა გამოიგონა 1702 წელს.

❖ შამპანური ნიკოლ ბარბიე-კლიკომ გამოიგონა 1797 წელს.

❖ ასანთი ჯონ უოლკერმა და სემუელ ჯონსმა გამოიგონეს 1826 წელს.

❖ ჩიფსები ჯორჯ კრამმა გამოიგონა 1853 წელს.

❖ პირველი თვითმფრინავის პროექტი ნიკოლაი ტელეშოვმა შექმნა 1876 წელს.

❖ კოკა-კოლა ჯონ პემბერტონმა გამოიგონა 1886 წელს.

❖ ნაყინი „ესკიმო"ი ჰარი ბერტმა გამოიგონა 1920 წელს.

❖ სისხლის გადასხმის პირველი ოპერაცია 1666 წელს და სემუელ პიპსმა ჩაატარა.

❖ პირველი ქალი-კოსმონავტი ვალენტინა ტერეშკოვა კოსმოსში 1963 წელს გაფრინდა.

❖ ხელბურთი დანიაში გამოიგონეს 1898 წელს.

❖ დნმ იოჰან ფრიფრიხ მიშერმა აღმოაჩინა.

❖ გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია კრისტიან ბერნარდმა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ჩაატარა.

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი ავტობუსია (**Neoplan Jumbocruiser**) ანუ ორი ერთში. მას 170 მგგზავრის გადაყვანა შეუძლია.

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო გემია **MS Freedom of The seas**, რომლითაც თავისუფლად მგზავრობს 4300 მგზავრი.

❖ ყველაზე დიდი თვითმრინავით **Airbus A380** ფრენა 555 მგზავრს შეუძლია.

❖ ყველაზე მოუცლელი და დაკავებული აეროპორტი დედამიწაზე **J.F.K International Airport. New York,USA**

❖ მსოფლიოს პირველი საფეხბურთო კლუბი არის „შეფილდი", რომელიც 1857 წელს დაარსდა ინგლისში.

❖ ჩილელი კარლოს ცეზლი იყო პირველი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წითელი ბარათი მიიღო.

❖ არგენტინული კლუბის „ინდეპენდიენტეს" თავდამსხმელს, მალონს, 1973 წლის 18 მარტს მხოლოდ 1 წუთი და 50 წამი დასჭირდა იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის („ხიმნასია და ესგრიმა") კარი სამჯერ აეღო!

❖ **Sydney Harbor Bridge,Australia** ყველაზე ფართო განიერი ხიდია. მასზე 16 სამანქანო გზა გადის.

❖ ყველაზე გრძელი ხიდი „დონგჰაი" ჩინეთშია, რომლის სიგრძე 32.5 კილომეტრია.

❖ ყველაზე დიდი შენაცვლებადი გზატკეცილის კომპლექსი „ტეხასი" ჰიუსტონშია.

❖ ყველაზე დიდი საცურაო კომპლექსი ედმინტონი კანადაში მდებარეობს და 5 აკრზეა გადაჭიმული.

❖ ყველაზე ძვირადღირებული ბილეთები უემბლის სტადიონზე იყიდება.

❖ ყველაზე დიდი სტადიონია მარაკანა, რომელზეც 199,000 მაყურებელი ეტევა (ბრაზილია).

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკლესიის შენობა ნიგერიაში მდებარეობს (დასასხდომი ადგილები 50.000, სრული ტევადობა 250.000 ადამიანი).

❖ ყველაზე დიდი მეჩეთი პაკისტანშია (მთლიანი ტევადობა 150.000 ადამიანი).

❖ ყველაზე დიდი საოფისე კომპლექსი ჩიკაგოში, ილინოისის შტატშია.

❖ ყველაზე დიდი პარლამენტის შენობა ბუქარესტში, რუმინეთში მდებარეობს.

❖ ყველაზე ძვირ, ერთადერთ 7-ვარსკვლავიან სასტუმროში ყველაზე იაფი ნომერი დღე-ღამეში 10 000$ ღირს.

❖ ტოკიოში ველოსიპედით მგზავრობა გაცილებით უფრო სწრაფად იმგზავრებ, ვიდრე ავტომობილით.

❖ ერთი წამის განმავლობაში თქვენს ორგანიზმში 15 მილიონი ერითროციტი იბადება და იღუპება.

❖ მსოფლიოს არცერთ კაზინოში არ არის საათი.

❖ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სახელია მუჰამედი.

❖ 1 გრამი ოქროთი შეიძლება ისეთი წვრილი ძაფი დამზადდეს, რომ მისმა სიგრძემ დედამიწიდან მთვარემდე მიაღწიოს.

❖ საშულოდ, ადამიანი წელიწადში დაახლოებით 1 460-ჯერ ოცნებობს.

❖ ადამიანის ბარძაყის ძვალი ყველაზე ძლიერ ბეტონზე მაგარია.

❖ ჟირაფის გული 22 კგ-ს იწონის.

❖ ყველაზე მეტი გოლი, რაც კი ერთ ფეხბურთელს ერთ თამაშში დაუგროვებია არის 16.

❖ დიეგო მარადონა მხოლოდ 16 წლის იყო როდესაც არგენტინის ნაკრებში მისი დებიუტი შედგა.

❖ ყველაზე მეტი მაყურებელი, ფეხბურთის ისტორიაში, დაესწრო 1950 წელს, რიო-დე-ჟანეიროში, მარაკანაზე გამართულ შეხვედრას, ბრაზილიასა და ურუგვაის შორის. ამ შეხვედრას სტადიონზე 199,854 ადამიანი უყურებდა.

❖ სპილო არის ერთადერთი ცხოველი, რომელსაც ხტომა არ შეუძლია.

❖ ორგანიზმის ყველაზე ძლიერი კუნთი არის ენა.

❖ სტასისტიკურად, ადამიანს ობობის უფრო მეტად ეშინია, ვიდრე სიკვდილის.

❖ ყველა თეთრი დათვი ცაციაა.

❖ ნიანგს არ შეუძლია ენის გამოყოფა.

❖ პეპელას ფეხებში აქვს გემოს გრძნობა.

❖ მხოლოდ ადამიანი და დელფინი განიცდიან სიამოვნებას სექსის დროს.

❖ ბახის ძეგლს ლაიფციგში ამოტრიალებული ჯიბეები აქვს, რაც მის სიღატაკეზე მიუთითებს.

❖ I მსოფლიო ომი იყო პირველი, რომლის გამოცხადებაც დეპეშით მოხდა.

❖ რომის ლეგენდარულ პირველ და უკანასკნელ იმპერატორსაც რომოლუსი ერქვა.

❖ მსოფლიოს უდიდესი ტბა არის კასპიის ზღვა.

❖ ყველაზე მაღალი სოფელი ევროპაში არის უშგული.

❖ ყველაზე ძველი სიგარეტის ფირმის სახელია „Lუცკყ სტრიკე".

❖ კოსმეტიკის სამშობლო არის ეგვიპტე, პირველი კოსმეტიკური წიგნის ავტორი კი - კლეოპატრა.

❖ პირველი წიგნი უსინათლოებისთვის 1833 დაიბეჭდა და ისი რელიგიური ხასიათის იყო.

❖ წლის დასაწყისად პირველი იანვარი საქართველოში შემოღებულია X საუკუნიდან, რუსეთში – XVII ს., გერმანიში XVს., საფრანგეთში – XVIს., ინგლისში XVIII ს-იდან.

❖ ყველაზე მეტი კბილი – 14 175 ბაღის ჩვეულებრივ ლოკოკინას აქვს.

❖ სიტყვა „გაზეთი" წარმოიშვა ვენეციური წვრილი ვერცხლის ფულის - გაძეტასაგან. XVI ს. ვენეციაში სპეცბიურო უშვებდა ხელნაწერ საინფორმაციო ფურცლებს, რომელთა ფასიც იყო წვრილი ფული – გაძეტა.

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მესაკუთრის გრაფაში მითითებულია სხვა სახელი. საჯარო რეესტრი არ მირეგისტრირებს ქონებას. როგორ მოვიქცე?

ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ უფლების დამდგენი დოკუმენტის კუთვნილების ფაქტის დადგენა. შესაბამისად, წარადგინოთ დაბადების მოწმობა, რის საფუძველზე სასამართლო დაადგენს ნამდვილ მესაკუთრეს, მოახდენს მის იდენტიფიკაციას და შეძლებთ ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

●

ვარ აფხაზეთიდან დევნილი. არასოდეს მიმიღია თავშესაფარი. ვცხოვრობ ქირით. როგორ მოვიქცე?

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ დევნილთა სამინისტროს და მოითხოვოთ ბინით დაკმაყოფილება. ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვოთ საქმის წარმოების დაწყება და ბრძანების გაცემა ბინით თქვენი დაკმაყოფილების შესახებ. საჩივრის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირდაპირ მიმართეთ სასამართლოს და გაასაჩივრეთ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი პოზიცია.

●

მჭირდება ოპერაცია. მაქვს თუ არა უფლება, დამოუკიდებლად ავირჩიო ექიმი, საავადმყოფო და მკურნალობის მეთოდები?

დიახ, თქვენ გაქვთ კონსტიტუციით მონიჭებული უფლება, თავად აირჩიოთ მკურნალი ექიმი და მკურნალობის ის მეთოდები, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ საჭიროდ. აღნიშნული უფლება განმტკიცებულია კანონებით „პაციენტის შესახებ" და „საექიმო საქმიანობის შესახებ", სადაც აღნიშნულია, რომ თქვენი ნება ავტონომიურია.

●

ჩემს ძმას მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც სასჯელის სამ წელზე მეტი გასულია. ეკუთვნის თუ არა მას ვადამდე ადრე გათავისუფლება?

მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ გასულია სასჯელის ნახევარი და არსებობს დაზარალებულის ნოტარიული თანხმობა, რომ მას პრეტენზია არ აქვს ციხის ადმინისტრაციაც დადებით რეკომენდაციას აძლევს. თავად პატიმარს უფლება აქვს, ციხის ადმინისტრაციის დახმარებით მიმართოს შესაბამის კომისიას ვადამდელი გათავისუფლების შესახებ.

ტელ.: 555 750 445; 557 749 887.

ს.ჰ.კ. „კათარზისის“ 2023 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.



ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, არტთერაპიის ცენტრი, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, თეატრალური დარბაზი და მასთან არსებული ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებ. გვერდზე, მისამართზე: catharsis.ge და ფბ გვერდზე „კათარზისი Catharsis“.

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. მენიუ მრავალფეროვანია, კვირაში ორჯერ გათვალისწინებულია საქონლის, ქათმის ხორცის ან თევზის პროდუქტები. სადილები მზადდება სეზონური პროდუქტების გათვალისწინებით. მენიუს ადგენს სპეციალური კომისია. მისი ძირითადი კერძებია: 1 - სალათი, 2 - წვნიანი, 3 - ბურღულეული სხვადასხვა დანამატით, წვენი (ჩაი, კისელი, კომპოტი, კაკაო ან ლიმონათი, პერიოდულად ხილი, ტკბილეული) და პური. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 495 ლარს შეადგენს.

2023 წლის ბოლოსათვის „კათარზისის“ ბენეფიციართა რაოდენობა კვლავ გაიზარდა და 580-მდე ავიდა. მთელი წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 120270-მდე მომსახურება. სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა. შ. დღის სადილები. ისინი სტუმრობდნენ „კათარზისს“ და ესწრებოდნენ სადილების გაცემის პროცესს.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი, რომელიც შექმნილია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი - გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფარქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის, ზოგადად ემსახურება ჩვენს ხანდაზმულებს და მოსახლეობის იმ კატეგორიას, ვისაც ასეთი დახმარების მიღების ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. 2023 წლის განმავლობაში ხანდაზმულებს გაეწიათ 600-მდე მომსახურება.

იურიდიული სამსახური

იურისტის საქმიანობა „კათარზისის“ ბენეფიციარების საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ის ასწავლის მათ განცხადების შესაგებლის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. 2023 წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გასწია 965 მომსახურება.

ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ბიბლიოთეკაში წიგნების მდიდარი ფონდია როგორც შინაარსით, ისე ოდენობით (5000-მდე). აგრეთვე, სისტემატიურად ვიღებთ ადგილობრივ პრესას. ბიბლიოთეკა დაფცვირთულია ღონისძიებებით და შეხვედრებით. 2023 წლის განმავლობაში გაიმართა: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 182 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მნიგნობართა საზოგადოებასთან ერთად ხანდაზმულებმა აღნიშნეს დედის დღე, 1989 წლის 9 აპილს დაღუპულთა ხსოვნის დღე, „თამარობა“, „გიორგობა“ (წმინდა გიორგი და საქართველო). გაიმართა ორი შეხვედრა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან გიორგი კეკელიძესთან, აკადემიკოსებთან - გია კვეშელავა და სიმონ ზაქარაია. წლის ბოლოსათვის ჩატარდა კონკურსი თემაზე: „შობა-ახალი წელი“. 2023 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ 4000-მდე მომსახურება გაწია.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონი მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხანდაზმულებს. 2023 წელს აღრიცხულია 960-მდე მომსახურება.

ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ ხანდაზმულებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ქალაქის აბანოსთან („ნარიყალა“), სადაც ხანდაზმულები სარგებლობენ მომსახურებით, ხოლო „კათარზისი“ იხდის მის საფასურს (6 ლარი ერთ ადამიანზე). 2023 წლის განმავლობაში დახმარების ამ ნაწილში 1865 (11190 ლ.) მომსახურება გაეწია ხანდაზმულებს.

ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2023 წლის ექიმთან ვიზიტების რაოდენობამ 2040 შეადგინა.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ. თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ხელოვნების კოლექტივები. იქ მყოფ ბებიებს ყველა პირობა აქვთ უსაფრთხო და ჯანსაღი ცხოვრებისათვის: ონლაინ გადიან გამამხნევებელ ვარჯიშებს, არტთერაპიის სეანსებს; აქვთ შესაძლებლობა ისეირნონ სუფთა ჰაერზე „კათარზისის“ ეზოში.

თეატრალური დარბაზი

თეატრალურ დარბაზში ხანდაზმულთა ყოფნა - სიმღერების შესწავლა და სპექტაკლებში მონაწილეობა ბენეფიციარების სუსტი წერტილია.

2023 წელს ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა ხანდაზმულთა სასიმღერო გუნდების, თეატრალური დასისა და სტუმართა ღონისძიებები. დაიდგა და საზოგადოებას შევთავაზეთ ლიტერატურული სპექტაკლები: „ვაჟა“ და „ოთარაანთ ქვრივი“. გაიმართა: მუსიკოს მანონი ყუბანეიშვილის საღამო; გორის შემოქმედთა კავშირის კონცერტი; 149-ე, 137-ე, 123-ე 52-ე, 31-ე, 103-ე, 36-ე, 63-ე 115-ე და 55-ე სკოლების მოსწავლეთა ღონისძიებები. ქართულ-ამერიკული და სხვა კერძო სკოლების: „სადუნი“, „ნიკალა“, „ბაქსვუდი“, დამოუკიდებელი გიმნაზია „შავნაბადა“, ლაღიძის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეების და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტების ღონისძიებები. ბებიებს სტუმრობდნენ და თბილი დღე მოუწყვეს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის რეალითი შოუს „პრაიმ ჰაუსის“ მონაწილეებმა. ტრადიციას დაუბრუნდა ხანდაზმულთა საახალწლო კარნავალი.

კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის, რომელიც 30 ადამიანზეა გათვლილი. ბენეფიციარების ნაწილს სახლში არ მიეწოდება ელექტროენერგია ან არ აქვს ტელევიზორი. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ საინფორმაციო გამოშვებებს, ნახონ საინტერესო ტელეგადაცემები, ფილმები და გასართობი პროგრამები, რომელიც მათივე სურვილითაა შერჩეული. სამომავლოდ ითვალისწინება 3D ფილმებისა და გადაცემების ჩვენება.

არტთერაპია

აქ მუშაობს არტთერაპიის რამდენიმე მიმართულება: იზოთერაპია (ხატვა, ნახატის გაფერადება, ძერწვა), ცეკვის თერაპია, სიცილის თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია, ლიტერატურათერაპია, პოეზია - მეტყველების თერაპია, მოძრაობითი ხელოვნება ანუ ევრითმია. ყოველდღიურად ათამდე ხანდაზმული დიდი სიამოვნებით ესწრება არტთერაპიის სეანსებს.

კაფე

კაფე „ჯულის “ყოველდღიურად საშუალოდ 200-მდე ხანდაზმული სტუმრობს. მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ის ადგილია, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, მიირთვან ტკბილეული (ორცხობილა, ნამცხვარი, კანფეტი), აღნიშნონ დაბადების დღეები, სხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, მიიღონ სტუმრები. მომსახურებამ 2023 წლის განმავლობაში - 29570 შეადგინა.

ინტერნეტ-კაფე

აქ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით. ინტერნეტ-კაფეს ხელმძღვანელობს სათნოების ძმა, რომელიც ასწავლის და პრაქტიკულად ეხმარება ხანდაზმულებს. 2023 წლის განმავლობაში ამ სამსახურმა დაახლოებით 20-ზე მეტ ბენეფიციარს გაუხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა.

ტანსაცმლის შეკეთებისა და მეორადი სამოსით დახმარების სამსახური

სამსახური ორიენტირებულია მარტივ ოპერაციებზე: ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, დაზიანებული ადგილების შეკეთება. ეს სამსახური უფრო მეტად დაუძლურებულ ქალბატონებს ან იმ ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულები არიან.

აქვე ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეარჩიოს და მოირგოს მისთვის სასურველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან ნივთი. შემომწირველები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. 2023 წლის განმავლობაში გაწეულია 1520-მდე მომსახურება.

დასვენება-გართობის სივრცეები

ბენეფიციართა საყვარელი ადგილებია „კათარზისის“ ჰოლები - დასვენებისა და გართობის სივრცეები. პირველი სართულის შემოსასვლელ ჰოლში დამონტაჟებულია ტელევიზორი, სადაც მთელი დღის განმავლობაში გადის სპეციალურად დამზადებული ვიდეორგოლი „კათარზისის“ საქმიანობის, მოსული სტუმრების, განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები, აგრეთვე, ჩვენი ბენეფიციარების ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის ასაკის ფოტოები. ჰოლების კედლებზე განთავსებულია ქართველი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციები, რის გამოც ისინი საგამოფენო სივრცის მისიასაც იძენენ. აქ განთავსებულია მაგიდები, რომლებიც მუდმივად დაკავებულია სამაგიდე თამაშების მოყვარულებით. განსაკუთრებით პოპულარულია: ლოტო, ნარდი, ჭადრაკი, დომინო, კარტი. იმართება შიდა ტურნირები. 2023 ტრადიციულად წელს ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირები ჭადრაკსა და ნარდში, სადაც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ხანდაზმულმა. გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი (12-14 დასახელების), პირველადი მოხმარების ნივთები. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2023 წელს მწოლიარეს 390-ჯერ გაეწია მომსახურება.

სადილი ყველას

2023 წლის ოქტომბრიდან გაგრძელდა პროექტი „სადილი ყველას“, რომლის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ბანერი წარწერით - „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ მას ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2023 წელს ტრადიციულად პირველი ასეთი ღონისძიება ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ (ბიუჯეტი - 6704,48 ლ.). ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა სააღდგომოდ, 12 აპრილს (ბიუჯეტი - 7087,48 ლ.) მაისის თვეში აქციის სპონსორი იყო „საქართველოს რკინიგზა“ (ბიუჯეტი - 6494,48). 14 ნოემბერს კვლავ კომპანია „ავერსმა“ საკუთარ დაბადების დღეზე 1500-მდე სოციალურად დაუცველ ადამიანს შესთავაზა ცხელი სადილი (ბიუჯეტი - 6704,48 ლ.).

„წლის ბებია-ბაბუა 2023"

მეოთხედ ამ პროექტის ისტორიაში, ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ - წლის „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად 18 იანვარს გავიდა ტელეიმედის ეთერში, გადაცემაში „პრაიმ შოუ“. 2023 წლის ღონისძიება გამოირჩეოდა საკონკურსო ნომრების მრავალფეროვნებით. ხანდაზმულები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სიმღერაში, ინსტრუმენტებზე დაკვრაში. კონკურსი ძალზე პოპულარულია მთელი საქართველოს მასშტაბით. მასში მონაწილეობა მიიღო 21-მა ხანდაზმულმა როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან (თეთრიწყარო, ბოლნისი, სენაკი, ქარელი, ჩოხატაური, აბაშა, ახალციხე, თერჯოლა, აფხაზეთი, ახმეტა).

ჟიურის წევრები, რომლებმაც გამარჯვებულები გამოავლინეს იყვნენ „პრაიმ შოუს“ ექვსივე წამყვანი და კომპანია „ბეკოს“, ამ კონკურსის სპონსორის წარმომადგენელი. წლის „ბებია -2023“-ის ტიტული, ჟიურის გადაწყვეტილებით, ორ ბებიას: მანონი ყუბანელიშვილს (79 წლის, თბილისი, „კათარზისი“) და ეთერ საჯაიას (89 წლის, სენაკი) მიენიჭა, ხოლო წლის „ბაბუა-2023“ გახდა რევაზ ზარქუა (71 წლის, აბაშა). გამარჯვებულებისათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზი 2000-2000 ლარის ოდენობით. ქალების შემთხვევაში, ტიტულის გაყოფასთან ერთად, აღნიშნული თანხა ორად გაიყო, ხოლო წლის „ბაბუას“ შემთხვევაში - 2000 ლარი შეადგინა. ყველა მონაწილე-კონკურსანტს გადაეცა 300-300 ლარი თითოეულს. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილე ყველა ხანდაზმულმა მიიღო საჩუქრები სპონსორისაგან.

9 მაისი

„კათარზისი“ ყოველი წლის 9 მაისს ულოცავს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს: იმართება საკონცერტო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ხანდაზმულთა, ისე მოწვეული სასიმღერო თუ საცეკვაო გუნდები. 2023 წლის 9 მაისის ღონისძიება-კონცერტი გაიმართა „კათარზისის“ ეზოში. ჩვენს ბენეფიციარ 3 ვეტერანს გადავეცით საჩუქრები: ფულადი დახმარებები (500-500 ლარი თითოეულს), კვების პროდუქტებისა და პირველადი მედიკამენტების პაკეტები.

დახმარება უკრაინელებს

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე „კათარზისი“ აქტიურად ჩაერთო ჰუმანიტარული დახმარების პროცესში: მოგროვდა და გაიგზავნა ტვირთის საკმაოდ მოცულობითი რაოდენობა: ტანსაცმელი (როგორც თბილი, ისე საზაფხულო), პლედები, პირველადი მოხმარების ნივთები. გარდა ამისა, უკრაინიდან ლტოლვილები სარგებლობენ ყველა იმ სოციალური სამსახურით, რომელსაც „კათარზისი“ თავის ბენეფიციარებს სთავაზობს: სადილი, ტანსაცმელი, ექიმის, იურისტის, სალონისა და აბანოთი მომსახურება და ა.შ. 2023 წლის განმავლობაში უკრაინიდან ლტოლვილ მოქალაქეებს ყველა სოციალურმა სამსახურმა ჯამურად 720 მომსახურება გაუწია. დახმარების პროცესი კვლავ გრძელდება.

1 ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

2023 წლის 1 ოქტომბერს „კათარზისმა“ კვლავ მიულოცა ხანდაზმულებს თავისსავე სადღესასწაულოდ მორთულ ეზოში გამართული ულამაზესი ღონისძიებით: მონვეული სტუმრებისა და ხანზამულების მიერ შესრულებული საკონცერტო ნომრებით, საცეკვაო კარნავალით. ხანდაზმულთა დღის შესახებ საზოგადოებას შეახსენა სატელევიზიო და სოციალურ ქსელებში აქტივობებით: სამი დღის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ხანდაზმულთა დღის მისალოცი შინაარსის ვიდეორგოლები; ამავე პერიოდის განმავლობაში ხანდაზმულთა თემატიკით და მილოცვებით დატვირთული იყო სოციალური ქსელები.

ალტერნატიული ჯარი

2007 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე „კათარზისში“ ალტერნატიულ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ათეულობით ახალგაზრდა (ძირითადად რელიგიური მოსაზრებების გამო). სამხედრო მოსამსახურეები (სათნოების ძმები) მონაწილეობენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა (მომსახურება სასადილოსა და კაფეში, მწოლიარეთათვის სადილების მიტანა, ინტერნეტ-კაფე, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზი, გარდერობი) და პროექტებში („სადილი ყველას“, „უსახლკაროთა დახმარება“ და სხვა). სათნოების ძმები (პირები, რომლებიც ალტერნატიულ ჯარს გადიან) მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც აქტუალური იყო კონკრეტული პერიოდისათვის - მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ბებია-ბაბუებთან ბინაზე მიჰქონდათ მზა სადილები და მშრალი პროდუქტები, ისინი ასრულებდნენ ნებისმიერი ტიპის ფიზიკურ სამუშაოებს, მონაწილეობას იღებდნენ შეძენილი და შემოწირული პროდუქტების დატვირთვა-დაცლასა და დაფასოებაში და ა.შ. 2023 წლის განმავლობაში სამსახურს გადიოდა 14 წევამდელი.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

2016 წლიდან ხორციელდება „კათარზისსა“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი სახელწოდებით - „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც პირები, რომელთაც მიესაჯათ პირობითი სასჯელი, ყოველდღიურად, სამინისტროს კურატორთან ერთად მოდიან „კათარზისში“ და ემსახურებიან ხანდაზმულებს. 2023 წელში მათმა რიცხვმა 90 შეადგინა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად.

მემორანდუმი GWP-სთან

2023 წლის აგვისტოდან კვლავ გაგრძელდა ერთწლიანი მემორანდუმი „კათარზისსა“ და GWP-ს შორის, რომლის ფარგლებშიც **GWP** ფარავს „კათარზისის“ მიერ გახარჯული წყლის ყოველთვიური ხარჯიდან 700 ლარს.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ ეწევა, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 98 კვ. მ. ფართი, რომლიდანაც 2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 69398,02 ლარი.

2023 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ N12 (745); 2024 წ.

ს.ჰ.კ „კათარზისი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს”-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ‘აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე’ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ “კათარზისი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი saras-a-965206).

„შპს იგალ“-ის სახელით.
თბილისი, საქართველო
22 მარტი, 2024

®

სჰკ „კათარზისის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (2023 წლის 31 დეკემბერი)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	113,186	117,757
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	159	189
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		**113,345**	**117,946**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	103,656	58,173
მოკლევადიანი მოთხოვნები	7	4,441	4,835
გაცემული ავანსები		215	471
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	134,269	270,458
სხვა მიმდინარე აქტივები		181	808
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**242,762**	**334,745**
სულ აქტივები		**356,107**	**452,691**
ვალდებულება და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	3,747	3,567
შრომის ანაზღაურება		1,531	2,229
მიღებული ავანსები		-	2,466
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**5,278**	**8,262**
მთლიანი ვალდებულებბი		**5,278**	**8,262**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30,391	30,391
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(93,600)	(128,727)
რეზერვები და დაფინანსება		394,313	523,040
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		19,725	19,725
მთლიანი კაპიტალი		**350,829**	**444,429**
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		**356,107**	**452,691**

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება (2023 წლის 31 დეკემბერი)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქველმოქმედო შემოსავლები	10	1,231,923	1,133,500	1,054,198
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(513,528)	(513,906)	(385,745)
ცვეთის ხარჯი		(13,625)	(20,724)	(25,418)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(799,529)	(735,317)	(580,825)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**(94,759)**	**(136,447)**	**62,210**
კურსთა შორის სხვაობა (შემოსავალი)/ხარჯი		-	(70)	(781)
ფინანსური ხარჯი		**-**	**(70)**	**(781)**
საპროცენტო შემოსავალი		-	-	334
ფინანსური შემოსავალი		**-**	**-**	**334**
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		**-**	**(70)**	**(447)**
სხვა შემოსავალი		2,664	7,790	23,365
სხვა ხარჯები		(1,505)	-	(22,740)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(93,600)**	**(128,727)**	**62,388**
მოგების გადასახადი		-	-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		**(93,600)**	**(128,727)**	**62,388**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (2023 წლის 31 დეკემბერი)

	საწესდებო კაპიტალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი, 2021	**30,391**	**-**	**523,040**	**19,725**	**573,156**
მოგება წლის განმავლობაში	-	(128,727)	-	-	**(128,727)**
რეზერვები და დაფინანსება	-	128,727	(128,727)	-	**-**
31 დეკემბერი, 2022	**30,391**	**-**	**394,313**	**19,725**	**444,429**
მოგება წლის განმავლობაში	-	(93,600)	-	-	**(93,600)**
რეზერვები და დაფინანსება	-	93,600	(93,600)	-	**-**
31 დეკემბერი, 2023	**30,391**	**-**	**300,713**	**19,725**	**350,829**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (2023 წლის 31 დეკემბერი)

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	1,009,149	985,617
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(298,268)	(343,024)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(692,982)	(642,448)
გადახდილი გადასახადები	(143,825)	(132,237)
სხვა	(641)	36
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**(126,567)**	**(132,056)**
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,622)	(9,973)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
მიღებული საპროცევნტო შემოსავალი	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(9,622)**	**(9,973)**
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**-**	**-**
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	**(136,189)**	**(142,029)**
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	**270,458**	**412,487**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**134,269**	**270,458**

შეუთავსებელთა შეთავსება

საკრალური თემების რეტროსპექტივას უძღვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს სწამისი) მთავარი რედქტორი, მწერალი გური ოტობაია. „შეუთავსებელთა შეთავსება“ მისი მონუმენტური ხუთტომეულის საგაზეთო ვერსიაა. ავტორის მიხედვით, შეუთავსებელთა შემთავსებელი უფალთუფალის, დიადი არქიტექტორის ფრთიანი მეტსახელია, მეტაფორა, რომლის მიერ ექვს დღე-ღამეში შექმნილი სამყარო ორი ურთიერთგამომრცხავი განზომილების პაექრობა-შეთანაწყობის უდასასრულო სარბიელია. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ადამიანის, როგორც უფლის ხატის საზღვრები და ყველა ის ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც ღმერთის დაწესებული ჩარჩოებიდან გამიჯნავს ხოლმე მას, ანუ ადამიანს აქცევს მხეცად. პროტოიბერიელი კი იმიტომაც იყო წარმატებული დროსა და სივრცეში, რომ ზედმიწევნით ემორჩილებოდა უფლის მიერ შემოთავაზებულ წესებსა და კანონებს.

ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com

წერილი მეთერთმეტე

სიმბოლო.
(ბერძნ. σύμβολον „ნიშანი“)
დამოკიდებული და თავისუფალი

ადამიანი სიმბოლოებით აზროვნებს საერთოდ. „ნაციონალები“ მთლად ხეპრეები როდი არიან, როგორც ამას ჩვენი თანამესაგრეები სახავენ ხოლმე. მათ **ქარაგმული ენით და ძალადობრივი პოლიტიკით** საქართველოს წაართვეს ნორმალური განვითარების ცხრა წელიწადი, ხოლო დროის ამ გაუსაძლის მონაკვეთში დათესილი სიავეების აღმოფხვრას მრავალათეული წელიწადი დასჭირდება.

გულთან მისატანი იყო ამას წინათ ჩვენს „საერთო გაზეთში“ ქართული დასის თავმჯდომარის, **ჯონდი ბაღათურიას** პოლიტიკური ხედვა; მან მართებული დიაგნოზი დაუსვა ჩვენში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** მიუკერძოებლად, სრულიად მართებულად წარმოაჩინა, როგორც ყველა დროის თავგადადებულად მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსი.

დიდი ხანია, ჩვენც ამ ხაზს მივყვებით და პოზიციების გასარკვევად ვცდილობთ „ნაციონალების“ ჩანერგილ არქიტექტურულ სიმბოლოებს შევძინოთ ახსნადობა, მეტი სიცხადე. მათი ბოგინისდროინდელი ყველა არქიტექტურული ძეგლი, სკულპტურა, ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის შემცველია და ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის იდეას ემსახურება.

ვამბობდი და ვიმეორებ, საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა ზურგში ხანჯლის ჩაცემა იყო ჩვენი ერისთვის. მე მრავალი პუბლიკაცია მივუძღვენი ამ დილემას. პარლამენტის შენობა, რომელიც რამდენადმე ჩამოჰგავს ნაპოლეონის ცილინდრს, სულაც არ არის ცილინდრი, ის **სენტ ეგზიუპერის** „პატარა უფლისწულის“ ნახატის ასლია. მამასთან საუბარში ცეროდენა პრინცი ახსნის, რომ გამოსახულება თურმე მახრჩობელაა, რომელმაც სპილო გადაყლაპა. ამ შემთხვევაში მახრჩობელა **გლობალისტური მსოფლიოა,** ხოლო სპილო **ჩვენ, ქართველობა.**

2018 წელს დაიხურა ქუთაისსი პარლამენტის შენობა. შევხედოთ ინტერნეტ-საიტის ინფორმაციას: **როგორც დაანონსებულია, პარლამენტის ყოფილ შენობაში დასავლეთ საქართველოს რეგიონული საპოლიციო ჰაბი უნდა განთავსდეს, თუმცა რა ფაზაშია პროცესი, შსს-ში ამაზე არ საუბრობენ. „ინტერპრესნიუსს“უწყებაში ამ ეტაპზეც მხოლოდ ის განუცხადეს, რომ პარლამენტის ყოფილ შენობაში დასავლეთ საქართველოს რეგიონული საპოლიციო ჰაბი მოეწყობა და ამ გზით მოსახლეობისთვის 50-მდე სერვისის მიწოდება მოხდება. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, სხვადასხვა საპოლიციო სერვისებით ისარგებლოს. ასევე, ეს იქნება ადამიანების დასაქმების ხელშეწყობა**.

სხვას რაღა ვუთხრა, როცა „ქართული ოცნების“ უმრავლესობის თვალწინ პარლამენტის კანცელარიის კედელზე ამ შენობის ფოტოასლი დღესაც ჯიუტად ყელყელაობს. ვაუწყე ამის შესახებ სამსახურის მოვალეობის შემსრულებელთ.

— მივიღებ ზომებსო, — დამაიმედეს, მაგრამ სამი, ხუთი, ცხრა თვის შემდეგაც ისევ იმ კედელზე თვინიერედ ჰკიდია დასახელებული სუროგატი ფოტო და ელის რაღაცას, ალბათ, უკუღმართი ცოდვისტრიალის ჩვენს თავზე დაბრუნებას.

ორსაჭიან ველოსიპედზე დიდი ხანია, ვწერ და ბოლო დროს სხვებმაც აღიმაღლეს ხმა. მხედველობაში მაქვს „საერთო გაზეთის“ ამაწლის №9-10 პუბლიკაციები: **ინკოგნიტო ემიგრანტი ბერისა** და ცნობილი არქიტექტორის, ბატონი **ვახტანგ დავითაიას** პოზიციები.

უფრო ადრე ბატონი **გია გაჩეჩილაძე** „უცნობის“ ფსევდონიმითაც რომაა ცნობილი, პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს უკავშირდებოდა, ბრძანებდა: **რესპუბლიკის მოედანზე არსებული ველოსიპედი ზუსტად ასახავს „ნაციონალების“ მმართველობას, მათ რეჟიმს, რომელსაც ორი „რული“ აქვს და აღარსად მიდის. სიმბოლოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია და გამოხატავს მათი მმართველობის ხასიათს. მე გთხოვთ, თუ ველოსიპედს არ გაიტანთ, ერთი „რული“ მაინც მოხსენით, თქვე მამაცხონებულებო, რომ წინ მაინც წავიდეთო.**

ბარემ აქვე დავსძენთ: ეს ავადსახსენებელი ველოსოპედი ქვეტექსტურად აღვირახსნილი სექსის პროპაგანდაცაა, ანუ, ისეთი საზოგადოებისა, რომელიც თავდავიწყების ორგიებშია გადაშვებული და საქვეყნო საქმეები ფეხებზე ჰკიდია. ერთმანეთისკენ მიმართული „სედლოები“ ამისი დასტურია, სატერფულები ერთია ორი პერსონისთვის და წავა უმომავლო და უასგნური ტრიალი-თავბედისწყევლა ამ გაშეშებულ მახინა-სახელმწიფოზე. ეს იგივე **უილიამ ფოლკნერის** ორზურგა ცხოველია, ერთმანეთს გადანასკვული კაცი და ქალი **კოიტუსისას. მოხსენით, გადააშენეთ ეს საციდაობა მონსტრი დროზე და დააბრუნეთ მოედანზე დავით აღმაშენებლის ძეგლიო,** მოგვიწოდებს პატრიოტი თანამემამულე ბერი ევროპიდან!

აწ ნეტარხსენებული კრიტიკოსი, უფროსი **გიორგი გაჩეჩილაძე,** თავის დროზე წერდა („ქართლი ჯაჭვის ტრაგედია“. გაზეთი „თავისუფალი“, №1, ივნისი, 2001 წ.):

„ერთ-**ერთი დამახასიათებელი ნიშანი თანამედროვე ეპოქისა გახლავთ ის, რომ მას, ამ ინფორმაციულ ეპოქას, აქვს სხვა სინონიმური განსაზღვრაც — პოსტკოლუმბური ცივილიზაცია. რას ნიშნავს კაცობრიობის ისტორიის ევოლუციის გააზრება კოლუმბამდელი, კოლუმბისდროინდელი და პოსტკოლუმბური ცნებების კონტექსტში? — ეს ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობის ისტორიამ გაიარა განვითარების ისეთი ფაზა, როდესაც კულტურები, ქვეყნები, ხალხები ვითარდებოდნენ პირობითად, ერთმანეთისგან იზოლირებულად... ე. ი. საკომუნიკაციო საშუალებების გაფართოებამ გამოიწვია სამყაროს დაპატარავება და ხდება პოსტმოდერნისტული“** (სინთეზური, — გ. ო.).

წერილში საუბარია მიჯაჭვულ ამირანზე, რომლისთვის ბორკილს თავად საზოგადოების ზედა ფენა ამზადებს ხოლმე მჭედლების სახით, და ისინი არ აძლევენ საშუალებას ამირანს, მონობის დამამცირებელი ბორკილიდან აიხსნას. მაგრამ კრიტიკოსს არ გაუთვალისწინებია სხვა მომენტიც, რომ ამირანს აღარ ძალუძს ჯაჭვის გაწყვეტა თავისი ნებით: დიდი ჯაჯგურის შემდეგ, აჰა, ამოსაღებად ამოწეულია სოლი, მაგრამ გრდემლზე ჩამოუფრინდება ბოლოქანქარა. დაჰკრავს ამირანი უროს ჩიტს მოსაკლავად. მაბზაკუნა აფრინდება. ურო ისევ ძირამდე ჩაიყვანს სოლს და ასე მეორდება მიწყივ, განიწყვეტლივ, ანუ **ქართული ეთნოსი ამ თვითმოწამეობის მსხვერპლიაო,** გვეუბნება მითი.

დამოუკიდებლობა და **თავისუფლება** ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია. თავისუფალი ვერ იქნება ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ აღასრულებს უფლის ათ მცნებას:

მცნება პირველი: მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.

მცნება მეორე: არა ჰქმნე თავისა შენისა **კერპნი,** არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

მცნება მესამე: არა მოი-







ღო სახელი უფლისა **ღმრთისა შენისაი** ამაოსა ზედა.

მცნება მეოთხე: მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმეი შენი, ხოლო დღეი იგი **მეშვიდე, შაბათი** (აწ კვირა, — გ. ო.) არს უფლისა ღმრთისა შენისა.

მცნება მეხუთე: პატივ-ეც **მამასა** შენსა და **დედასა** შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა.

მცნება მეექვსე: არა კაც-ჰკლა.

მცნება მეშვიდე: არა იმრუშო.

მცნება მერვე: არა იპარო.

მცნება მეცხრე: არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა.

მცნება მეათე: არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა.

აი, მხოლოდ ყოველივე ამის განსრულების შემდეგ შეძლება მიიღოს ადამიანმა უფლის მიერ გამოძერწილი სახე, სხვაფრივ იგი მაცილისეულია. **აი, ყოველივე ამის შემდეგ ხდება ადამიანი თავისუფალი, მართალკაცი.**

სიძვაში ჩაფლული, ტრანსგენდერი თუ სოდომ-გომორელი შეუძლებელია, იყოს თავისუფალი, ვინაიდან გაუკუღმართების მსხვერპლია უკლებლივ, ძირის-ძირამდე ენგრევა მეობის დამცავი მექანიზმები, სახე ეჭმუხნება ათასი მანკიერი ზადით **დორიან გრეის პორტრეტის კვალობაზე** და, აქედან გამომდინარე, იგი საზოგადოებას ლოცმანად, წინამძღოლად ვერაფრით გამოდგება. **თავისუფალი ერთადერთია — ცოლქმრული ცხოვრება ჯანსაღი თაობის, მსოფლიო საწინდრად.**

თავისუფალი ვერ იქნება მპარავი კაცი, გინდ ნემსისა და გინდ აქლემისა, მას აღარ შეუძლია ამ გზით შეძენილი ქონების გლახაკთათვის დარიგება, რადგანაც მაკაკას სინდრმითაა შეპყრობილი, ვერ ელევა ეგოისტურ მონაგარს, პრივილეგიებს.

თავისუფალი ვერ იქნება კაცისმკვლელი, ცილისმწამებელი, მკრეხელი. ამავდროულად, თავისუფალი ვერ იქნებიან ისეთი გენოტიპები, რომელთაც ეკოლოგიური თუ ხელოვნური ჩარევების შედეგად დარღვევიათ უფლის დაწესებული ანთროპოლოგიური პარამეტრები:

თავისუფალი ვერ იქნება ახლო ნათესავების ქორწინების შედეგად გაჩენილი შთამომავლობა, ვინაიდან სისხლის აღრევას, მოკლე ჩართვებს ისინი ბუნების არათუ მშენებელ, არამედ დამანგრეველ პიროვნებებედ გადაუქცევია.

თავისუფალი ვერ იქნებიან არტაშანებით და სხვა შემბოჭავი საშუალებებით თავისქალა დაგრძელებული ტიპები — ეგვიპტელების, ინდიელების გარკვეული ნაწილი. ვინაიდან მათთვის ძნელია ყოველგვარი ამაღლებულისა და მშვენიერისთვის თავის დადება, ისინი შეპყრობილნი არიან ავადმყოფური ეგოიზმით, მაკაკას სინდრომით, მამონას მიყვარეობით, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით დანარჩენი კაცობრიული ფასეულობების იგნორირების ხარჯზე **(მიხეილ გალდავა)**.

ვერაფრით წარმოვიდგენდი, „შეუთავსებელთა შეთავსების“ „საერთო გაზეთის“ პუბლიკაციებს ესოდენი გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა. მკითხველები მეკითხებოდნენ, სად შეიძლებოდა ხუთწიგნეულის შეძენა და მეც მივუთითებდი ადრეულ გამოცემაზე ეროვნული ბიბლიოთეკისკენ. ამ მრავალათეული შემოხმიანებიდან განსაკუთრებით ორი დამამახსოვრდა: ქალბატონი **ნინო კობახიძე** და ბატონი **ავთანდილ შველიძე**.

ქალბატონი **ნინო კობახიძე**, ეზოთერიკით დაინტერესებული აღმოჩნდა, განსაკუთრებით სალვადორ დალის პანოთი — **ახალი ადამიანი (Geopolitical Child Observing the Birth of a New Man)**. ეს პანო 1943 წელსაა შექმნილი. მის შესახებ საინტერესოდ უწერია „საერთო გაზეთში“ **მაია ჭელიძეს**.

ჟურნალ „ფენომენის“ რედაქტორმა, ჟურნალისტმა **გიგლა გობეჩიამ** კი პირველმა შენიშნა პანოს ჰერმაფროდიტი პერსონაჟის კავკასიისკენ, კერძოდ, საქართველოსკენ მიშვერილი თითი, და იქვე დააკომენტარა, რომ ამ ვექტორით სალვადორი ხსნას საქართველოდან ელისო;

შემდგომ ეს მოსაზრება კარდინალურად განსხვავებულით შეიცვალა: **საქართველო, როგორც კაცობრიობის კულტურტრეგერი და ლოცმანი უნდა აღიგავოს მიწის პირისაგან, რათა დანარჩენმა მსოფლიომ ნახირივით არხეინად ცოხნოს თავისი ყოფითი, ცხოველური „ფასეულობანი“.**

ბატონი **ავთანდილ შველიძე** ხაშურის რაიონის სოფელ კვადოურის მკვიდრია სპელეოლოგიით დაინტერესებული და მის შესახებ სხვა დროს უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

ცხოველს არ გააჩნია თავისუფლება, არც სამშობლო **(ზვიად გამსახურდია)**. ამ ფუნქციას მათთვის ასრულებს საცხოვრისი — ჯილე, ბუდე, ბუნაგი. ჭიანჭველები, ყვავები, შიმპანზეები, მართალია, ასრულებენ აზროვნების პრიმიტიულ ფორმებს: ორი საგნის შეკავშირებით განსხვავებული მესამის მიღებას, მაგრამ ისინი ვერ იქნებიან პასუხისმგებლები დედამიწაზე და მასში არსებულ სიცოცხლეზე, ვინაიდან აღარ ძალუძთ ატომგულის გახლეჩა და ზებუნებრივი ენერგიების მიღება. ეს ცოდნა მხოლოდ ადამიანს გააჩნია და თუკი ეს **Homo sapiens**-იც ღვთიურულ ათ მცნებას ცხოვრების წესად არ გადააქცევს, ვერაფრით ეღირსება **ჭეშმარიტ თავისუფლებას, შეგნებულ აუცილებლობას,** და, ბუნებრივია, ვერ იტვირთავს პასუხისმგებლობას საზოგადოების მამოძრავებელ პოზიტიურ ფასეულობებზე, პირიქით, **ეგოისტური უმეცრებით — მაკაკას სინდრომით დაღუპავს მას.**

თავისუფალი ვერ იქნება ადამის პირველი ცოლი, ბუსფეხება **ლილითი**, ვერც კონუსური თავის **ნეფერტიტი,** ვერც სამ და თექვსმეტძუძუიანი **მდედრები,** ვერც **ორთავიანი ქალ-ვაჟი,** ვერც სალვადორ დალის **ჰერმაფროდიტი,** ვეღარც თამარ კვესიტაძის **ნახევრადტორსი ალი და ნინო,** (მათი — მუსულმანურ-მართლმადიდებლური სიყვარული უმომავალოა, ხელები არ გააჩნიათ, ისე შედიან ერთმანეთში) ეს ანომალიები ვეღარ გამოადგება ცივილიზებულ მსოფლიოს; ამგვარი პლანეტარული ავგიას თავლები გროვდება გადახრილი ორიენტაციებით — სოდომ-გომორელებით, ტრანსგენდერებით, ონანისტებით, ნარკომანებითა და ალკოჰოლიკებით. ვერ იქნებიან ესენი პასუხისმგებლები სიცოცხლეზე. ნამდვილი ეტალონი ქალის სახება კი ბოლო სვეტზეა ასახული, ამაღლებულისა და მშვენიერის სიმბოლოდ.

ოლიგარქიული მსოფლიო გაცხოველებით გვთავაზობს მსგავს სახიჩართა მომრავლებას, რათა მათ სომდიდრეს საფრთხე არ შეექმნას, არ გამოცხადდეს მათზე კონტროლი ლუსტრაციებით, დენაციონალიზაციით; არადა, ვერ საზღვრავენ, რომ **დედამიწის განადგურებასთან ერთად იღუპება მათი კოლოსალური ფინანსური წყაროებიც.**

ამიტომაც მივმართავ კრამერის **„შეშლილ მსოფლიოს“,** მოუხმოს ჭკუას, საღ გონებას, მეტი პრაგმატულობით მოეკიდოს დედამიწის ეკოლოგიურ პრობლემებს. შექმნას ოლიგარქიული მმართველობა, რომელიც განზე გააჩოჩებს ნებისმიერ სოციალურ დაპირისპირებას და მწვანე შუქს აუნთებს დედამიწაზე სასიცოცხლო წყლისა და ჰაერის მობევრებას, ანუ დაიწყებს ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების ინტენსიურ ათვისებას. მხოლოდ ამისთანა ძალისხმევის შემთხვევაში შეძლებს კაცობრიობა თავის გადარჩენას კარზე მომდგარი ეკოლოგიური კატასტროფისგან. საამისოდ მაგიდაზეა დადებული ქართველი გონებადაუნჯებული მეცნიერების პროექტი **„მძინარე გოლიათი“** აკადემიკოს **როინ მეტრეველის** საერთო ხელმძღვანელობით: გრძელფესვიანი ხე-მცენარე **„Fistacia vera“** — ბუსტუღი, ფსტა და მისი ბიოაქტივატორი **„ბიორაგი“.**

ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ უმალესად გადავლახავთ დედამიწაზე არსებულ საორღობო ყოველდღიურ უბედურებებს. ხოლო ყოველივე ამის შემდეგ რანაირად ავაშენებთ მართლზომიერ — ძმობის, ერთობისა და თავისუფლების საზოგადოებას, მარქსის მიერ თვალნათლივაა დახატული — **მთელ პლანეტაზე უხვი მატერიალური დოვლათის შექმნა თავისთავად მოიტანს მათი გადანაწილების ჰუმანურ მეთოდებსაც.**

ესენი მართლმსაჯულების აღსრულებას საზოგადოების პოლარიზაციას ეძახიან. ჩვენ არ გვწადია მათი მეთოდებით შურისძიება, ანუ სააკაშვილის „შლაპამცებით“ კვერცხებზე შედგომა და გასრესა. ჩვენ გვწადია მომავლის სახელით მათთვის მიტევება მართლადიდებლური სულისკვეთებით, ოღონდ მოინანიონ, ოღონდ აღიარონ თავიანთი დანაშაულებები და შეცდომანი. მაგრამ არა და არა. ისინი **იაპონურ სერაუსავით** კვლავაც ცხვრის ქურქით დაიარებიან მგლური ბუნებით აღჭურვილები. ჩვენ არ ვეძებთ მათი მომხრეებიის ლუსტრაციას, რამდენია ამ 10-12 პროცენტში **გვარნაცვალი** თუ ტვინნაღრძობი, **ჩვენ ვესწრაფით მომავლის სახელით კარდინალურ მიმტევებლობას, ოღონდ გულწრფელი მომანიების შემდეგ**. ასეთია გური ოტობაიას შეუთავსებელთა შეთავსების არსი. ვნახოთ, რას გვიქადის საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღე!

დასაწყისი იხ. „სგ“
N34-41, 2023 წ.; N1,9, 2024 წ.

წინ ევროპის ჩემპიონატი გველის

მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი თარიღი ჩაიწერა გასულ კვირას ქართული ფეხბურთის ისტორიაში — საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა! გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩვენმა გუნდმა საბერძნეთის ნაკრები დაამარცხა. გამარჯვებამ სრულიად საქართველო გაახარა — დილამდე ზეიმობდა თბილისი და სრულიად საქართველო! ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა, დღემდე ჩვენი გუნდის წარმატებაზე ლაპარაკობს და ხარობს.

თამაში, როგორც ვნახეთ, საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა — ჩვენებურებს მოედანზე, ფაქტობრივად, ჩხუბი, ჭიდაობა და ძალისმიერი სპორტის სხვა ილეთებთან უწევდათ გამკლავება. თამაში მართლაც ორთაბრძოლას დაემსგავსა. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეეპუენ მეტოქის უხეშობებს, გაუსაძლის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას. ტექნიკური თვალსაზრისით, ცალკეულ ეპიზოდებში გამოცდილ მეტოქეს აშკარად ჯაბნიდნენ კიდეც.

2004 წლის ევროპის ჩემპიონები ფეხბურთში, ზედმეტად თავდაჯერებულები ჩამოვიდნენ თბილისში. იმედი ჰქონდათ, გამარჯვებას ადვილად მიაღწევდნენ, მაგრამ შეცდნენ. აკი ამიტომაც წერდა ერთ-ერთი ბერძნული გამოცემა: „...ჩვენმა გუნდმა სათანადოდ ვერ შეაფასა საქართველოს ნაკრების პოტენციალი და ამიტომაც დავისაჯეთ“. აქვე გავიხსენოთ, რომ საბჭოთა პერიოდში თბილისის „დინამო“ საერთაშორისო ტურნირებში საკმაოდ იოლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ამარცხებდა ბერძნულ კლუბებს.

საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრამდე ქართველმა ფეხბურთელებმა ლუქსემბურგის ნაკრები 2:0 დაამარცხეს და გულშემატკივრებს იმედი ჩაგვესახა, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები საბერძნეთის გუნდის დამარცხებას და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას შეძლებდა. საბედნიეროდ, იმედი არ გაგვიცრუვდა.

მსგავსი ზეიმი, რაც 26 მარტს საქართველოში ვიხილეთ, 1981 წლის 13 მაისის შემდეგ აღარ ყოფილა. ოთხ ათეულ წელზე მეტი მოთმინებით ველოდით ქომაგები ქართველი ფეხბურთელების წარმატებას. ახლა ჩვენი ოცნება და ქართული ფეხბურთის ახალი ისტორია დაიწყო — დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველად იასპარეზებს ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდი კონტინენტის ჩემპიონატზე, სადაც ასპარეზობა უკვე წარმატებას ნიშნავს.

საქართველოში ფეხბურთი მხოლოდ სპორტის სახეობა, თამაში და სანახაობა არ გახლავთ, ის უფრო მაღალ განზომილებაშია აყვანილი, ამიტომაც საერთაშორისო თამაშებისას პირთამდე ივსება ჩვენი სტადიონები. ახლაც, საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ თამაშზე დასასწრები ბილეთები ელვისებური სისწრაფით გაიყიდა.

ბრიტანულ გამოცემაში დაიბეჭდა საყურადღებო წერილი, სადაც წერენ: „საქართველოს ნაკრები 2015 წლის ფიფა-ს რეიტინგში 150-ე ადგილს იკავებდა, წელს კი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, რომლის საგზური ირლანდიამაც ვერ მოიპოვა. კარგი იქნება, თუ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები საქართველოში ჩავლენ და ქართველი სპეციალისტების გამოცდილებას გაიზიარებენ, თუ როგორ შეძლეს მოკლე დროში, ასეთი პროგრესისთვის მიეღწიათ“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი მტერი ქვეყნის ჟურნალისტებისგან საქართველოს ნაკრების ქომაგობა. ოკუპანტი რუსეთის სპორტული ჟურნალისტები საქართველოს ნაკრების გამარჯვების შემდეგ სიხარულით აღნიშნავდნენ: „ახლა უკვე ვიცით, ვისაც ვუგულშემატკივრებთ ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი ფავორიტი საქართველოს ნაკრებია“, — წერდა რუსული პრესა.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ — ქართული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი დებიუტანტი, საქართველოს ნაკრები იქნება, ამიტომაც ჩვენი ბიჭების ასპარეზობას განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით დააკვირდებიან მსოფლიოს სპორტული გამოცემები, ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციები, სპეციალისტები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტინენტის ჩემპიონატზე ასპარეზობა უკვე წარმატებაა, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ჩვენთვის, ქართველი გულშემატკივრისთვის ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ასპარეზობა საკმარისი არ იქნება. ბერძნებთან გამარჯვება უკვე საკმარისად ვიზეიმეთ, ახლა უკვე დროა, მომავალი ჩემპიონატისთვის სამზადისი დავიწყოთ, რათა ჩვენმა გუნდმა გერმანიაში ღირსეულად იასპარეზოს.

გულშემატკივრებს ისღა დაგვრჩენია, რომ გერმანიაში მომავალ წარმატებებზე ვიოცნებოთ, რაც რეალობასთან ახლოსაა.

სულ გამარჯვებით გევლოთ, ბიჭებო!

გია ბურდული

ჩვენს ძვირფას ერთგულ მეგობარს, ჩვენი გაზეთის გულწრფელ და უანგარო მხარდამჭერს, შესანიშნავ, გულღია ადამიანს, ღირსეულ მამულიშვილს, კარგ მეოჯახეს, არაჩვეულებრივ მამასა და ბაბუას და, უბრალოდ, კარგ ქართველს

დავით ინჯიას
ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანიერ სიცოცხლეს თავის არაჩვეულებრივი ოჯახის წევრებთან ერთად, სიხარულს, სიკეთეს, ბედნიერებას და წარმატებებს ნებისმიერ წამოწყებასა და მრავალფეროვან საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99